# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№7 (256) სექტემბერი, 2012 წ. www.tsmu.edu


## ძვირფასო სტუდენტებო, კოლეგებო!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, პროფესორ-მასწავლებლები გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



ახალი სასწავლო წელი ყოველთვის ყველასთვის განსაკუთრებული მოვლენაა. ახალი პროგრამები, ახალი სტუდენტები, ახლის მოლოდინი... ახალი სასწავლო წელი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პირველკურსელებისთვის და ამიტომაც მსურს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით მათ განსაკუთრებით მივესალმო და წარმატებები ვუსურვო იმ დიდ გზაზე, რომელმაც ისინი წარმატებული პროფესიული განვითარებისა და ნათელი მომავლისკენ უნდა წაიყვანოს.

ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა ძალიან დიდია, რადგანაც ადამიანის სიცოცხლეს ვემსახურებით, ამას კი მაღალი პროფესიონალიზმი და თავდაუზოგავი შრომა სჭირდება.

სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელთა თავდადება და ყოველდღიური შრომა ჩვენი უნივერსიტეტის მაღალი რეიტინგისა და მუდმივი წინსვლის საფუძველი იყო მუდამ და დარწმუნებული ვარ, ახალ სასწავლო წელსაც ჩვეული ერთგულებით და პასუხისმგებლობით მოემსახურებიან საყვარელ საქმეს – მომავალი კადრების აღზრდას, სამედიცინო აზრისა და მეცნიერების განვითარებას, პაციენტზე ზრუნვასა და წარმატებულ კლინიკურ საქმიანობას.

სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს უცხოელ სტუდენტებს, რომელთა რიცხვიც მიმდინარე სასწავლო წელს 1400–ს გადააჭარბებს. საყურადღებო დინამიკაა – უკანასკნელი 3 წლის მანძილზე უცხოელ სტუდენტთა რიცხვი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შვიდჯერ გაიზარდა, გაფართოვდა ჩვენი სტუდენტების გეოგრაფიული არეალიც – ჩვენთან მსოფლიოს 41 ქვეყნის მოქალაქეები სწავლობენ. დარწმუნებული ვარ, სამედიცინო უნივერსიტეტში მათ გულისხმიერი დამოკიდებულება და სწავლების მაღალი ხარისხი დახვდებათ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამა, რომელიც გულისხმობს აშშ–ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მოწვევას. ამ პროგრამის ფარგლებში 2012 წლის მარტიდან ივლისამდე სამედიცინო უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხა და სხვადასხვა ტიპის სამედიცინო აქტივობა განახორციელა 73–მა უცხოელმა პროფესორმა. ეს პროგრამა გრძელდება და მის ფარგლებში 2012-2013 სასწავლო წლის პირველი დღიდანვე ჩვენთან მუშაობას იწყებს 36 უცხოელი პროფესორი, სემესტრის დამთავრებამდე მოწვეული იქნება დარგის 100-ზე მეტი ცნობილი ექსპერტი. მივესალმები მათ და მადლობას მოვახსენებ თანამშრომლობისთვის. პროგრამა ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, რეზიდენტებისა და პროფესორებისთვის.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს მრავალრიცხოვან გულშემატკივარსა და პარტნიორს, ვისაც წვლილი შეაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლასა და განვითარებაში და, შესაბამისად, ჩვენი უნივერსიტეტის წარმატება მათი წარმატებაცაა.

ჩვენ ერთად მომავალშიც განვამტკიცებთ სამედიცინო უნივერსიტეტის სახელოვან ტრადიციებს კონკურენტუნარიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ექიმებისა და ექთნების, ფარმაცევტების და ჯანდაცვის ორგანიზატორების აღზრდის საქმეში, ერთად დავიცავთ მოქალაქეობრივ, პროფესიულ და ზნეობრივ პრინციპებს, შევინარჩუნებთ ექიმისა და მასწავლებლის მაღალ რეპუტაციას, ერთად ვიდგებით ადამიანთა ჯანმრთელობისა და, საზოგადოდ, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში...

ჩვენ ობიექტური და სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ინტელექტით, შრომით და, რაც მთავარია, ჩვენი უნივერსიტეტის და პროფესიის სიყვარულით ერთად დავძლევთ ყველა პრობლემას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია ყველაფერს გავაკეთებთ მშობლიური უნივერსიტეტის მომავალი გამარჯვებებისთვის, ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის.

**პროფესორი**
**ზურაბ ვადაჭკორია,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი**

## წარმატებებით მომავლისკენ



თქვენ ურთულესი გზა გაიარეთ, სანამ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდებოდით...

სწორედ თქვენ გეძღვნებათ ჩვენი გაზეთის სასექტემბრო ნომერი, სადაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები, წარჩინებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები თქვენთვის საჭირო და ყურადსაღებ რჩევა-დარიგებას შემოგთავაზებენ, რაც, დარწმუნებულნი ვართ, დაგეხმარებათ საუნივერსიტეტო სივრცეში სწორი ადაპტირებისთვის.

გეტყვით, რომ სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ფუნდამენტური სამედიცინო ცოდნის შეძენის და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ეს განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა ქვეყანას ასე სჭირდება თანამედროვე სტანდარტების შესატყვისად მომზადებული ექიმი სპეციალისტები თუ ფარმაცევტები.

გარდა ცოდნის შეძენისა, უნივერსიტეტი შესაძლებლობას მოგცემთ თქვენი ნიჭი და უნარი წარმოაჩინოთ სხვადასხვა მიმართულებით – ხელოვნების სხვადასხვა სფეროსა თუ სპორტში.

,,სამედიცინო გაზეთი“ კი მუდამ თქვენი ერთგული მეგობარი და კეთილი მრჩეველი იქნება.

კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება მდიდარი ისტორიის და მემკვიდრეობის მქონე სამედიცინო უმაღლეს სკოლაში, რომლის სამოქმედო დევიზი – ,,ტრადიციებით მომავლისკენ!“ – სწორედ საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნების გზით მომავლისკენ თქვენს წარმატებულ სვლას ითვალისწინებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ, ღირსეულად გეტარებინოთ ექიმის და ფარმაცევტის საპატიო სახელი!

**„სამედიცინო გაზეთის“**
**რედაქცია**

## ერთიანი ძალისხმევით ბევრს მივაღწევთ



ძვირფასო პირველკურსელებო, მოგესალმებით და გილოცავთ სტუდენტობას!

ყველა ჩვენგანისთვის ნაცნობია ის გრძნობა, რასაც ამ დღეებში განიცდით. ჩვენ გვესმის თქვენი ემოციების, მოლოდინის. ბევრ თქვენგანს არ გასვენებთ კითხვა: – სწორია თუ არა თქვენ მიერ გაკეთებული არჩევანი? სად ხართ და რას ელით ჩვენი უნივერსიტეტიდან?

მინდა გითხრათ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გამორჩეული და აღიარებული სასწავლო დაწესებულებაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. აქ თქვენ საშუალება გაქვთ, მიიღოთ საერთაშორისო კლასის განათლება, რაც გზას გიხსნით მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დიპლომისშემდგომი განათლების მისაღებად და სამუშაოდ. ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. თუ ნამდვილად გსურთ, რომ მომავალი დაუკავშიროთ მედიცინას, დამერწმუნეთ, რომ ეს თქვენ მიერ გაკეთებული საუკეთესო არჩევანია!

მედიცინის ფაკულტეტის უმთავრესი ამოცანაა, მოვამზადოთ კომპეტენტური და სრულფასოვანი ექიმები, ამასთანავე, ჭეშმარიტების მაძიებელი მკვლევრები. არ დავიშურებთ ძალისხმევას, რათა ხელი შევუწყოთ თქვენი შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების, მოტივაციის მაქსიმალურ გამოვლინებას როგორც დიპლომამდელ, ასევე დიპლომისშემდგომი განათლებისა და მთელი პროფესიული კარიერის განმავლობაში. მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში საშუალება გექნებათ გაიაროთ სტაჟირება ჩვენი უნივერსიტეტისა და მსოფლიოს სხვადასხვა სამედიცინო სკოლის კლინიკებში.

ჩვენ დიდად ვაფასებთ და ვითვალისწინებთ თქვენს გულწრფელ სურვილს, ახლო მომავალში დაავადებათა პრევენციითა და მკურნალობით გააუმჯობესოთ ადამიანთა ცხოვრება. ამიტომ მოგიწოდებთ, გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რასაც ამ მიზნის მისაღწევად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გაძლევთ, ნუ დაზოგავთ დროსა და ენერგიას მიზნის მისაღწევად.

გისურვებთ წარმატებებს და ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ერთიანი ძალისხმევით გავაუმჯობესებთ ჯანდაცვას 21–ე საუკუნეში.

**პროფესორი**
**თინათინ ჩიქოვანი,**
**თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი**

## გახსოვდეთ, ,,ვისი გორისანი“ ბრძანდებით!



და აი, კიდევ ერთხელ, ამჟამად სამოცდამესამედ, ვხვდები ახალ სასწავლო წელს ჩემს უსაზღვროდ საყვარელ უნივერსიტეტში!

რას ვუსურვებდი ჩემს თავს (თქვენც, ჩემო ახალბედა მომავალო მედიკოსებო და ფარმაცევტებო), ახლა რომ ვიწყებდე სწავლას უძველესი და გამორჩეული ტრადიციების მქონე მედიცინისა და ფარმაციის აღმზრდელ კურთხეულ კერაში?

უპირველეს ყოვლისა, დავეუფლო მრავალ უცხოურ ენას: ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს, კვლავინდებურად – რუსულს...

მაგრამ, ქვაკუთხედად უნდა შევინარჩუნო მთელი სიღრმისეული შეგრძნებით ჯერ კიდევ ბოლომდე ადეკვატურად არგათავისებული განძი – მშობლიური, ქართული დედაენა.

ერთი წუთით შევჩერდეთ და დავფიქრდეთ: არსებობს განა ჩვენი პლანეტის რომელიმე კუთხე, სადაც ესოდენ ფართოდაა ჩაქსოვილი თავისი ფუძით, შერწყმული უმთავრეს ადამიანურ ფასეულობებთან ცნება – დედა: მშობელი (დედი, დედილო, დედიკო, დედისეული, დედობა, დედაბუდე), დედამიწა, დედასამშობლო, დედაბოძი, დედაკაცი, დედაარსი, დედაბუდე, დედამძუძე, დედაშვილობა, დედაძარღვი, დედაწული, დედოფალი!...

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენო მომავალნო!

მიუხედავად ჩემი ხანდაზმულობისა, გულწრფელად გისურვებთ, იყოთ ჩემზე გაცილებით მეტად დღეგრძელნი, წარმატებულნი და ამაყნი!

ამაყნი იმით, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოხვედრისას, არანაირი უცხოური კულტურა და სილამაზე ვერ შეცვლის ან დაჩრდილავს ღმრთისმშობლის წილხვედრის ქართული მიწა-წყლის მრავალსაუკუნოვან გამორჩეულ კაცთმოყვარეობას, ტოლერანტობას, ათასწლეულების მანძილზე დამკვიდრებულ და შეუდარებელი პალიტრით გაფერადებულ ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს და თვითმყოფადობას.

თვითმყოფადობას, რომელმაც მსოფლიო გააოცა და მოხიბლა ჩვენი ლექსიკის უიშვიათესი ნაირფეროვნებით, საოცრებებით, საამაყო ერისშვილებით.

ერისშვილებით, რომლებმაც კაცობრიობას შესძინეს განუმეორებელი ლექსიკით გათავისებული და შეჯერებული შექსპირის ტრაგედიების მარადიული სიბრძნე-ფასეულობანი და სონეტებში ჩაქსოვილი ყოვლისმომცველი სიღრმე, შოთა რუსთაველის ღრმა ფილოსოფიური და, იმავდროულად, ყოვლად ცხოვრებისეული მიგნებანი, აკაკისა და ილიასეული მაღალი პოეზია, ცეცხლოვანი რიტმებით აჟღერებული ქართული ცეკვა და ეროვნული ხალხური ხმების განსაცვიფრებელი პოლიფონია, ვანო სარაჯიშვილის და ჰამლეტ გონაშვილის სულის სიღრმემდე შეღწევადი ჰანგები...

ჩემო ახალგაზრდებო, გისურვებთ დედასამშობლოს ჭეშმარიტ სიყვარულს, იყავით ერისშვილები, რომლებიც სიტყვა „დედას“ მიმართავენ მხოლოდ და მხოლოდ ამაღლებული გრძნობების გამოსახატავად;

გახსოვდეთ, „ვისი გორისანი“ ბრძანდებით!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!..

**ვადიმ საააკაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,**
**საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

სამედიცინო გაზეთი

## თსსუ-ის პროფესორები ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ

ა.წ. ივლისში საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა **მიხეილ სააკაშვილმა**, ღირსების ორდენით დააჯილდოვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები:

**ნოდარ გრიგოლია** – ქირურგიის №2 ურგენტული ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

**ნათელა (ნანა) გელაძე** – პედიატრიის დეპარტამენტის ბავშვთა ნერვულ სნეულებათა მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

**ნოდარ ლომიძე** – ქირურგიის დეპარტემენტის №1 ქირურგიულ სნეულებათა მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

**ნუგზარ უბერი** – პედიატრიის დეპარტამენტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

**დავით ქოჩიაშვილი** – ქირურგიის №1 დეპარტამენტის უროლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

**ნინო (ნინული) ნინუა** – ნეირომედიცინის დეპარტამენტის ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკის და ტოპიკური დიაგნოსტიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი;

**მარინა გორდელაძე** – შინაგანი მედიცინის №1 დეპარტამენტის ენდოკრინოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი;

**გია თომაძე** – ქირურგიის №1 დეპარტამენტის კერძო ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

**დავით შენგელია** – თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

**თეიმურაზ კობიძე** – კლინიკური ტოქსიკოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი.

**ვულოცავთ ჩვენს პროფესორებს მნიშვნელოვან აღიარებას და ვუსურვებთ წარმატებებს სამომავლოდაც.**

## აღიარება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ენდოდონტიის მიმართულების ხელმძღვანელს, პროფესორ **მარინა მამალაძეს,** მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემია სახელმძღვანელოსთვის: **„ოპერაციული ოდონტოლოგია და ნაშრომთა ციკლისთვის"**.

ვულოცავთ ამ დიდ აღიარებას პროფესორ **მარინა მამალაძეს** და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ჩვენი უნივერსიტეტისა და ქვეყნის სასახელოდ!

## „დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა" თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის შედეგად 2012 სასწავლო წლიდან თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე ამოქმედდება **„დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა" – US MD (Doctor of Medicine Degree Program)** – რომელიც შემუშავდა და განხორციელდა თსსუ-ისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე.

2012 წლის სექტემბრიდან თსსუ-ის 2 საპილოტო ჯგუფი შეუდგება ამ პროგრამით სწავლას. სტუდენტებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორ-მასწავლებლები.

## მნიშვნელოვანი მისიით ზალცბურგში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი, **გიორგი გიორგობიანი,** მიწვეული იყო ზალცბურგში (ავსტრია), ევროპის სამედიცინო სპეციალისტთა კავშირის (**UEMS**) და ევროპის ქირურგთა საზოგადოების **(ESS)** მიერ ორგანიზებულ გამოცდებზე, რომლის ინგლისურ ენაზე ჩაბარების შემდეგ რეზიდენტურის კურსდამთავრებულს ენიჭება ევროპული კვალიფაკაცია სპეციალობაში „ზოგადი და ვისცერული ქირურგია".

აღნიშნული კატეგორიის გამოცდები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში წელიწადში რამდენჯერმე ტარდება და მოიცავს ე.წ. მრავლობითი არჩევანის ტესტებს და ატარებს ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ სახეს **(OSCE).**

# სამედიცინო განათლების საერთაშორისო ფორუმზე



მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, თანამედროვე სამყაროში ძალიან სწრაფად ვითარდება სამედიცინო განათლების ახალი მეთოდოლოგიები. სწავლების პროცესებში ფართოდ ინერგება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ელექტრონული სწავლების, შეფასებისა და პრეზენტაციის ტექნოლოგიები და სხვა ინოვაციური მეთოდები. სამედიცინო განათლებაში მიმდინარე პროცესები და სიახლეები ყოველწლიურად აქტიურად განიხილება ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) კონფერენციებზე, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, განსჯა და ანალიზი. AMEE მსოფლიო მნიშვნელობის ორგანიზაციაა, რომელშიც გაწევრიანებულია 90 ქვეყნის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი, მათ შორის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.



*პროფესორ **მარინა მამალაძის** პრეზენტაციამ – „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) დანერგვა სტომატოლოგთა განათლებაში: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცდილება" და პრეზენტაციის ახალმა ელექტრონულმა ფორმამ დიდი მოწონება დაიმსახურა.*

AMEE–ს რეკომენდაციები და გაიდლაინები საფუძვლად უდევს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტრატეგიულ და სასწავლო გეგმებს, სწავლებისა და ცოდნის შეფასების მეთოდოლოგიებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების მეთოდების მოდერნიზაციის საერთაშორისო პროგრამებში, ფორუმებში, თემატურ სამუშაო ჯგუფებში და ჩართულია თანამედროვე აკადემიურ მედიცინაში მიმდინარე ყველა ინოვაციურ პროცესში. ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ა.წ. 25– 30 აგვისტოს ჩატარდა ლიონში (საფრანგეთი), მონაწილეობას იღებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია: უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, რექტორის მოადგილე, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი გაიანე სიმონია და ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ენდოდონტიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი პირველია, სადაც ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა განხორციელდა სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე, პროფესორ მარინა მამალაძის ხელმძღვანელობით. აქედან გამომდინარე, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) საერთაშორისო კონფერენციაზე, ლიონში, სამეტაპიანი კონკურსის შედეგად პრეზენტაციისთვის შეირჩა პროფესორ მარინა მამალაძის მოხსენება – „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) დანერგვა სტომატოლოგთა განათლებაში: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცდილება (Introducing OSCE for Stomatology Education in Georgia: Experience of Tbilisi State Medical University)".

აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესორმა მარინა მამალაძემ წარმოადგინა ე.წ. ელექტრონული პოსტერი, რაც, თავის მხრივ, პრეზენტაციის უახლეს ფორმას წარმოადგენს და წელს პირველად იქნა გამოყენებული ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) კონფერენციაზე. პრეზენტაციამ და მისმა ახალმა ფორმამ კონფერენციის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია და ექსპერტების მიერ უაღრესად დადებითად შეფასდა.



**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) საერთაშორისო კონფერენციაზე – 2012 წლის აგვისტო**




საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონფერენციას ესწრებოდა 3000-ზე მეტი დელეგატი ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ევროპის, აშშ-ის, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთისა და კანადის სამედიცინო განათლების აღიარებული ექსპერტები. კონფერენციის მუშაობის დღეებში გაიხსნა დიდი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მსოფლიოში ცნობილი სამედიცინო სიმულატორების და პროგრამების მწარმოებლების ნიმუშები, აგრეთვე, სასწავლო სამედიცინო და სამეცნიერო ლიტერატურის ცნობილი გამომცემლობების ახლად გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები, წიგნები და პერიოდული გამოცემები.

ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის დელეგაციის წევრები შეხვდნენ AMEE-ს პრეზიდენტს, ქალბატონ მადალენა პატრიციოს, ასოციაციის გენერალურ მდივანს, რონალდ ჰარდენს, ტემპუსის პროექტის „სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში" (MUMEENA) პარტნიორებს – ლიდსის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის დელეგაციას, სამედიცინო განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროექტის კოორდინატორს, პროფესორ ტრუდი რობერტს, უტრეხტის (ნიდერლანდები) სამედიცინო ცენტრის კვლევებისა და განათლების ცენტრის დირექტორს, პროფესორ ოლე ტენ კატეს. კონფერენციის პარალელურად, გაიმართა MUMEENA-ს პროექტის პარტნიორთა სამუშაო შეხვედრა, სადაც აღინიშნა, რომ დასრულდა პროექტის მოსამზადებელი ეტაპი და შემდგომი ორი წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელდება სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია, რაც გულისხმობს მნიშვნელოვან ინოვაციას სწავლებაში, სწავლასა და ცოდნის შეფასების მეთოდოლოგიაში.



*შეხვედრა ტემპუსის პროექტის „სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში" (MUMEENA) პარტნიორებთან – ლიდსის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის სამედიცინო განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროფესორ **ტრუდი რობერტსთან** და უტრეხტის სამედიცინო ცენტრის კვლევებისა და განათლების ცენტრის დირექტორთან, პროფესორ **ოლე ტენ კატესთან**.*

# გიყვარდეთ სამედიცინო უნივერსიტეტი...



სამედიცინო უნივერსიტეტის პირველკურსელებო, ჩვენო საამაყო ქალიშვილებო და ჭაბუკებო, მე, პროფესორ-მასწავლებლების უფროსი თაობის წარმომადგენელი, გულითადად მოგესალმებით და გილოცავთ ბრწყინვალე წარმატებას – სტუდენტობას!

თქვენს გამარჯვებას გულწრფელად ვულოცავ თითოეული თქვენგანის მშობლებს, რაშიც მათი დიდი წვლილიცაა.

ეს წარმატება დაუვიწყარად იქცევა თქვენთვის, რამეთუ აქედან იწყება თქვენი ოცნების – ექიმად გახდომის რთული, მაგრამ უაღრესად საინტერესო გზა. გახსოვდეთ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ეროვნული სამედიცინო კადრების უმთავრესი სამჭედლოა და განუყოფელ კავშირშია ქართულ უმაღლეს განათლებასთან, რომელსაც მძლავრი ფესვები აქვს გადგმული ქართველი ხალხის ისტორიულ და კულტურულ წარსულში.

სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ყოველწლიურად ავსებენ პრაქტიკული ჯანდაცვის მუშაკთა დიდ არმიას და კეთილსინდისიერად ემსახურებიან ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს. გახსოვდეთ ბრძენთა გამონათქვამები: **„ჯანმრთელი ადამიანი ბუნების ყველაზე ძვირფასი ნაწარმოებია" (თომას კარლეილი), „ბედნიერება, უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობაში მდგომარეობს" (გეორგ კურტისი).**

ჯანმრთელობის დამცველის უაღრესად საპასუხისმგებლო და საპატიო მისიის შესრულება კი მომავალში თქვენ მოგიწევთ! სპეციალობის დაუფლებას, გარდა დიდი კეთილსინდისიერებისა და შრომისა, ნიჭიც სჭირდება. ექიმს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება ნიჭი უანგარობისა და თავდადებისა. კარგად დაიხსომეთ, ექიმად ჩამოყალიბება დიდ დროს მოითხოვს („რა მოკლეა წუთისოფელი და რაოდენ დიდ დროს მოითხოვს ჩვენი ხელობის ათვისება" – ჰიპოკრატე), ამიტომაც სტუდენტობის წლები ნაყოფიერად გამოიყენეთ.

სამედიცინო უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი ახალგაზრდობის ნიჭის და მრავალმხრივი უნარის სრულყოფილად გამოსავლენად. სასწავლო პროცესის უმაღლეს დონეზე წარმართვა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივის უპირველესი მიზანია. თქვენ გელით კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები. უნივერსიტეტის ყველა დეპარტამენტში ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სადაც აქტიურად არიან ჩართული მეცნიერული კვლევა-ძიებით დაინტერესებული სტუდენტები; წარმატებით მუშაობს სტუდენტური თვითმმართველობა; დიდი მხარდაჭერაა სპორტსმენების და ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ნიჭის და უნარის ხელშესაწყობად. ამასთან, სისტემატურად გამოდის საუნივერსიტეტო „სამედიცინო გაზეთი", სადაც საკუთარი შემოქმედების გამომზეურების თუ თქვენი იდეების, წარმატებების და პრობლემების მკითხველისთვის გაზიარების საშუალება მოგეცემათ.

წარმატების მისაღწევად ბევრი ისწავლეთ და იშრომეთ. შეიყვარეთ სამედიცინო უნივერსიტეტი, თქვენი ალმა მატერი...

გამარჯვებებს გისურვებთ სწავლასა და სამომავლო საქმიანობაში, ჩემო მომავალო კოლეგებო!

**ელგუჯა ყიფიანი,**
**თსსუ-ის ოპერაციული ქირურგიის და ტოპოგრაფიული ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი**

# იმედით აღსავსე მომავალი



თქვენი არჩევანის შესაბამისად, ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

ჩემო მომავალო კოლეგავ, გილოცავ სანუკვარი მიზნის ან თუნდაც საწყისი სურვილის რეალიზაციას, რომელმაც მოგცა შესაძლებლობა, თანდათან ეზიარო მედიცინის საიდუმლოებებს. შენ მეტად რთული, მაგრამ ჰუმანური და საინტერესო პროფესია აირჩიე, რომლის დაუფლებაც, ყოველდღიურ დაუღალავ შრომასთან ერთად, მთელი შენი ინტელექტის მობილიზებას მოითხოვს.

ადამიანის ორგანიზმი უნიკალური, მწყობრი ბიოლოგიური სისტემაა, რომლის ფუნქციონირებაც მუდმივი ძრავის, ე.წ. პერპეტუმმობილეს, პრინციპზეა აგებული. ყველა მექანიზმის მსგავსად, ისიც შეიძლება დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს დაექვემდებაროს, რის გამოც მისი ხანგრძლივი, ოპტიმალური მუშაობა, ხშირ შემთხვევაში, ექიმის მაღალი პროფესიონალიზმითაა განპირობებული. ეს უკანასკნელი დიდი გამოცდილების, ნიჭის, ცოდნის, ღრმა ერუდიციის და დასტაქრის პირადი თვისებების ერთობლიობას წარმოადგენს, თუმცა, ექიმობისკენ მიმავალ გზაზე მრავალი ბარიერია აღმართული. კარიერის საწყის, ახალგაზრდულ წლებში მკურნალობის კარგი შედეგები ხშირად გაუაზრებლად, ბავშვური სიხარულით აღიქმება, ზოგჯერ – ჩვენთვის უცნობი დაავადების რთული პროგნოზირებით. წარმატებას შეიძლება მოჰყვეს წარუმატებლობა, ზოგჯერ თქვენთვის გაუგებარი მიზეზით, რაც გაიძულებთ, დაუკვირდეთ მრავალ გარემოებას და განავითაროთ ანალიზის, სისტემატიზებისა და დასკვნების გამოტანის უნარი. გააზრებული ექიმობის გზების ძიება ამა თუ იმ მეთოდის მაქსიმალურ „სნაიპერულ" სრულყოფას წაავავს, როდესაც ძიების სფერო ფართოვდება, შემეცნების პროცესი რთულდება და უფრო სახალისო ხდება კრიტიკული ანალიზისა და განსჯის სრულყოფით. მაგალითად, კრიტიკულმა საექიმო აზროვნებამ შეიძლება დიდი როლი ითამაშა კ. დოილის შემოქმედებაში, რაც გამოვლინდა კიდეც შერლოკ ჰოლმსის პერსონაჟის შექმნით.

ცოდნა ადამიანის შემოქმედების ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს მეცნიერება, ხელოვნება, ან, თუნდაც, ხელობა, ექიმს საუკეთესო სპეციალისტად აქცევს, ვინაიდან ყველა თავისი გამოვლინებით, იგი ექიმობას ასაზრდოებს და აზროვნებას აღვიძებს. ნებისმიერი ექიმი, გარკვეულწილად, ფსიქოლოგიც უნდა იყოს, ვინაიდან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პაციენტთან გასაუბრების სტილს და ურთიერთობას, რაც წარმატებული მკურნალობის საწინდარია. მეტად მნიშვნელოვანია პაციენტის შეხედულების გაგება მის დაავადებაზე, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის წარმოშობაზე, ვინაიდან რაც არ უნდა საოცრად გამოიყურებოდეს პაციენტის „კონცეფცია" საკუთარი დაავადების შესახებ, ხშირად იგი პათოლოგიის გახსნის საიდუმლოებას წარმოადგენს. თითოეული პაციენტი მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს და მეტად განიცდის ექიმის მხრიდან უყურადღებობას. ამასთან დაკავშირებით, მრავლისმეტყველია ეპიზოდი ერთი ექიმის ცხოვრებიდან, როდესაც მან პაციენტის ჩივილების მოსმენისა და ზერელე გასინჯვის შემდეგ აუწყა, რომ დაავადება ალბათ ნერვულ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, რაზეც პაციენტმა დამშვიდობებისას მიუგო, რომ შეიძლება ნიადაგი ნერვული ყოფილიყო, მაგრამ მასზე მრავალი „ყვავილის" აღმოცენება იყო შესაძლებელი. ბუნებრივია, რომ ყოველთვის შეუძლებელია დაავადების გამომწვევი მიზეზის დადგენა და პაციენტის მდგომარეობაც ხშირად არ უმჯობესდება ექიმის პირველი ვიზიტის შემდეგ. ეს მეტად მტკივნეულია, ვინაიდან ავადმყოფს სულ ამოძრავებს სწრაფად განკურნების სურვილი და თუ მიზანს ვერ მიაღწიეთ, პირველი ვიზიტის შემდეგ, შეიძლება პაციენტმა აღარ მოგცეთ სხვა შესაძლებლობა. თქვენი მცდელობით საჭიროა, დაარწმუნოთ ავადმყოფი მკურნალობის გაგრძელების აუცილებლობაში და თუ მან კვლავ მოგაკითხათ, ჩათვალეთ, რომ მოგცათ ნდობის ვოტუმი სენის ერთობლივი ძალებით დასაძლევად.

ცნობილი რუსი მწერალი კ. პაუსტოვსკი წერდა, რომ მწერლობა მდგომარეობაა და არა პროფესია. იგივე შეიძლება ითქვას ექიმობაზეც, როდესაც პაციენტის გადარჩენილი სიცოცხლის შედეგად დაუფლებული ეგზალტაციის შეგრძნება ექიმს ბედნიერს ხდის. ამავე დროს, უნდა გახსოვდეთ, რომ ხშირად მიზნის მიღწევა რთულია და უფრო ადვილია პაციენტის ჯანმრთელობის შენარჩუნება, ვიდრე მისი საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ექიმის პროფესია უამრავი სიკეთის თესვასთან არის ასოცირებული, მაგრამ თქვენს მიერ გაღებული სიკეთე, როგორც ამას ჩემი დიდი მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რაც შეიძლება სწრაფად დაივიწყეთ, თუმცა, არ დაივიწყოთ სხვის მიერ თქვენ მიმართ გამოვლენილი კეთილმოსურნეობა და სიკეთე. მომავალში ზოგიერთი თქვენგანი, შესაძლოა, პედაგოგად მოევლინოს სამედიცინო სამყაროს და დიდი წვლილი შეიტანოს ახალგაზრდა თაობების აღზრდაში.

გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი ავადმყოფი, ისევე, როგორც ნებისმიერი პიროვნება, ინდივიდია და არა – საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი. ამიტომ თქვენ უნდა უმკურნალოთ არა, ზოგადად, დაავადებას, არამედ ინდივიდუალურ პაციენტს, ვინაიდან მათი მგრძნობელობა სხვადასხვა სამკურნალო საშუალების მიმართ ხშირად, ფრიად, ვარიაბელურია. მაგ., როდესაც გამოჩენილ ფრანგ განმანათლებელს, ვოლტერს, პირადმა ექიმმა ურჩია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად არ მიეღო ყავა, ამ უკანასკნელმა მას ირონიით მიუგო, რომ თითქმის 80 წელია, რაც თავს „იწამლავდა ამ შხამით". ამასთან დაკავშირებით, ცნობილ მეცნიერს, ი. მეჩნიკოვს, რომელიც ადამიანის დღეგრძელობის პრობლემებით იყო დაკავებული, აღწერილი ჰყავს ქალბატონი, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში დღეში 40 ჭიქა ყავას სვამდა და 114 წლამდე იცოცხლა. გაითვალისწინეთ, ისიც, რომ ზოგჯერ თვითმკურნალობამ, შესაძლებელია, გარკვეული დაღი დაასვას ადამიანის შემოქმედებით ცხოვრებას. გენიალური მხატვარი, ვინსენტ ვან გოგი, ცხოვრების ბოლო წლებში კარდიოტონული საშუალებით – სათითურათი მკურნალობდა, რომელსაც საგნების ფერების აღქმის ცვლილება ახასიათებს, ყვითელი და მწვანე ფერების დომინირებით. ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, ვან გოგის შემოქმედების ბოლო წლებში მის ტილოებში მომწვანო-ყვითელი კოლორიტის პრევალირება სწორედ რომ ამით იყო განპირობებული.

გარდა ამისა, განსწავლული ექიმი ყოველთვის უნდა აპელირებდეს ფაქტებითა და სათანადო არგუმენტაციით. გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგი, ი. პავლოვი, წერდა, რომ თუ მეცნიერებაში არსებობს ფაქტები, მეცნიერებამ ისინი უნდა ახსნას და აცხადებდა, რომ ფაქტები მეცნიერების „ჟანგბადს" წარმოადგენს, თუნდაც ისინი ვერ თავსდებოდნენ მეცნიერებით დადგენილ ჩარჩოებში. თანამედროვე მედიცინა სწორედ რომ ფაქტებზე დამყარებული მედიცინაა, ე.წ. evidence base medicine, თუმცა, არსებობს საპირისპირო ისტორიული მომენტებიც. როდესაც ბერძენმა ფილოსოფოსმა, ზენონმა, უსაყვედურა თავის კოლეგას – ტერტულიონს, რომ ფაქტები ეწინააღმდეგებოდა მის წარმოდგენებს გარკვეულ მოვლენებზე, ამ უკანასკნელმა მშვიდად მიუგო: „მით უარესი ფაქტებისთვისო". მართლაც და, ზოგჯერ ჩვენი ცოდნა არასაკმარისია, რათა რაიმე ფაქტის სწორი ინტერპრეტაცია მოვახდინოთ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ მომავალში, ცოდნის დაგროვებასთან ერთად, მრავალ საიდუმლოებას აეხდება ფარდა.

დაბოლოს, გახსოვდეთ, რომ ადამიანის ორგანიზმი დ. მენდელეევის პერიოდულ სისტემას მოგვაგონებს და ეს დიდი „ანსამბლი" მრავალი კვლევის შთაგონების წყაროა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის, რომლებიც ცდილობენ ამ „ორკესტრის" თითოეული წევრის მახასიათებელი როლის განსაზღვრას. იგი ნატიფ, სათუთ მოპყრობას საჭიროებს, როგორც საათის მექანიზმი, რომლის ზამბარის უხეში გადაჭიმვაც მის შეუქცევად დაზიანებას გამოიწვევს.

**ნიკოლოზ გონგაძე,**
**თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი**

# კარგი არჩევანი

თქვენ უკვე მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები ხართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ექიმის პროფესია აგირჩევიათ და მზად ხართ ექვსი წელი ისწავლოთ და კიდევ 2-3 წელი მოემზადოთ სხვა ექიმის ზედამხედველობით (ამ პროცესს ახლა რეზიდენტურა ჰქვია) იმისთვის, რომ ექიმად მუშაობის უფლება მიიღოთ.

კარგი არჩევანია! ცნობილი ამერიკელი ექიმი უილიამ ოსლერი, რომელსაც თანამედროვე მედიცინის მამად მოიხსენიებენ, თვლიდა, რომ „მედიცინაში მუშაობის სურვილი, ალბათ ადამიანის უდიდესი თვისებაა, რომელიც მას ცხოველისგან განასხვავებს". გაცილებით დიდი ხნის წინ კი ციცერონი ამბობდა: „ისე არასდროს უახლოვდება ადამიანი ღმერთს, როგორც მაშინ, როცა ადამიანს ჯანმრთელობას აძლევს".

დღეს ალბათ ვერც წარმოგიდგენიათ როდის დადგება ის დღე, როცა დამოუკიდებლად შეხვდებით პაციენტებს, გასინჯავთ და უმკურნალებთ. ეს დღე ძალიან მალე, თქვენთვის შეუმჩნევლად მოვა და იგრძნობთ, რომ შეიცვალეთ, ბევრი რამ ისწავლეთ და შეგწევთ ექიმობის უნარი. ამასთან, ხშირად გულიც დაგწყდებათ, რომ რაღაცა გამოტოვეთ, ზოგიერთ საკითხს სათანადო დრო და გულისყური ვერ დაუთმეთ.

თქვენ ბევრის, ძალიან ბევრის სწავლა მოგიწევთ. დაიღლებით ანატომიის, ბიოლოგიის, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და მრავალი ასეთი „ლოგიის" სწავლით. შემდეგ კლინიკური საგნებიც დაიწყება. ეს ყველაფერი უპირობოდ აუცილებელია, ვერსად გაექცევით. მაგრამ, კარგი იქნება, თუ დასაწყისშივე გაითავისებთ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს – თქვენი მთავარი საზრუნავი პაციენტია. ამიტომ თავიდანვე შეეცადეთ იჩიქროთ მასზე, დააკვირდეთ ექიმს მუშაობის დროს, მის ურთიერთობას პაციენტთან და პაციენტის განცდებსა და ქცევას.

ზემოაღნიშნულის საშუალება პირველი კურსიდანვე მოგეცემათ (მაგ., საგნის „კომუნიკაციის უნარ-ჩვევების" ფარგლებში), რაც შემდგომშიც გაგრძელდება. მაგრამ ამის გაკეთება დამოუკიდებლადაც შეგიძლიათ. ამისთვის უნდა შეეცადოთ, გამონახოთ საშუალება, იაროთ რომელიმე სამედიცინო დაწესებულებაში (არ აქვს მნიშვნელობა, საავადმყოფოა თუ ამბულატორიული კლინიკა) და დააკვირდეთ ექიმის მუშაობას. ეს საკმაოდ გავრცელებული მიდგომაა როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯერ კიდევ უმაღლეს სამედიცინო სკოლაში ჩაბარებამდე, ურჩევენ ახალგაზრდებს, შეიძინონ ასეთი გამოცდილება. ამ პროცესს „ექიმის ჩრდილივით დევნას" უწოდებენ („shadowing", „physician shadowing", „to shadow doctor"), რაც იმას ნიშნავს, რომ აბიტურიენტი ან სტუდენტი ფეხდაფეხ, ჩრდილივით დასდევს ექიმს და ყველაფერს აკვირდება.

ასეთი გამოცდილება ძალიან სასარგებლოა და ბევრ რამეში დაგეხმარებათ. უპირველეს ყოვლისა, ნახავთ, როგორი იქნება თქვენი სამუშაო, რისი კეთება მოგიწევთ, რა გარემოში იმუშავებთ, რა მოგეთხოვებათ. დაფიქრდებით, არის თუ არა ეს თქვენი საქმე, ანუ გინდათ თუ არა ექიმობა. ამასთან, დასაწყისშივე დაინახავთ, როგორ იყენებს ექიმი იმ ცოდნას, რომელსაც სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარების პირველი დღიდანვე გაძლევენ ერთი შეხედვით „მოსაწყენი" საგნების სწავლებისას.

მაგრამ კლინიკაში წასვლამდე აუცილებლად უნდა გაითავისოთ რამდენიმე წესი. პირველი – ხელი არ უნდა შეუშალოთ კლინიკის საქმიანობას, თქვენ მართლაც ჩრდილივით უნდა იყოთ და იმოძრაოთ. მეორე _ რასაც კლინიკაში პაციენტის შესახებ ნახავთ და გაიგებთ, კონფიდენციალურია. არავის ესაუბროთ პაციენტის შესახებ მისი სახელისა და გვარის მითითებით, გარდა იმ ექიმისა





და ექთნისა, რომელნიც ამ პაციენტზე ზრუნავენ. მესამე – ნურასოდეს გააკრიტიკებთ ექიმს თუ სხვა სამედიცინო პერსონალს თავისი მოქმედებისთვის, სანამ არ გაარკვევთ, რა იყო ასეთი მოქმედების საფუძველი. თუკი რაიმე უმართებულოდ მოგეჩვენათ, იქვე, თქვენს მომავალ კოლეგებთან, გაარკვიეთ. თუკი ეს შეუძლებელია, სხვა კოლეგას ჰკითხეთ კლინიკისა და ექიმის დაუსახელებლად. მეოთხე – ჩაიწერეთ თქვენი შთაბეჭდილებები და კითხვები (პაციენტისა და ექიმის მითითების გარეშე). დასასრულ – თუკი დაგავალებენ რამეს, რა სახის დავალებაც უნდა იყოს (პაციენტის გაყოლა, დახმარება, ჩაცმა, რაიმეს წაღება, ინფორმაციის გადაცემა და ა.შ.), შეასრულეთ ეს თქვენთვის ძალიან სასარგებლოა.

ექიმის საქმიანობის, მისი ზნეობრივი პრინციპებისა და ქცევის შესახებ დაწვრილებით შეგიძლიათ შეიტყოთ **„საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსიდან"** და **„ექიმის პროფესიული საქმიანობის წესებიდან".** ორივე ეს დოკუმენტი საქართველოში, ქართველი ექიმებისთვის არის მომზადებული და გირჩევთ, კარგად გაეცნოთ მათ.

ექიმობისა და პაციენტის შესახებ ინფორმაცია და ცოდნა სხვა გზითაც შეგიძლიათ მიიღოთ. სახელდობრ: მხატვრული ნაწარმოების კითხვისას, ნახატის დათვალიერების თუ ფილმის ყურებისას, თუ თემა ექიმობა, ავადმყოფობა და პაციენტია. დააკვირდით რა ხდება, რით შეიძლება თქვენ მიერ დანახული ან გაგონილი თუ წაკითხული საინტერესო და საგულისხმო იყოს თქვენთვის.

ვთქვათ, რემარკის კითხვისას იმ ადგილას მიხვედით, სადაც მთავარი გმირის მამა ვერ ბედავს ექიმს ჰკითხოს თავისი ავადმყოფი ცოლის ოპერაციის საფასურის შესახებ. როდესაც შვილი მამას ეკითხება, გაარკვია თუ არა ოპერაციის ფასი, ის ასე პასუხობს: „პირდაპირ არა, ეს გამორიცხულია. ექიმი ღიზიანდება ამგვარი შეკითხვებით. ამ დროს სიფრთხილეა საჭირო, მას ხომ ოპერაციის გაკეთება ევალება" *(ერიხ მარია რემარკი, „დასავლეთის ფრონტი უცვლელია").* ამ ფრაზიდან ნათლად ჩანს, რამდენად ბევრი რამის გაგება სურთ პაციენტებს, მათი ოჯახის წევრებს და როგორ ვერ ახერხებენ შეკითხვას ამის შესახებ.

აი, კიდევ მსგავსი მაგალითი: ლევ ტოლსტოის ერთ-ერთი გმირი, ივან ილიჩი ექიმს ეკითხება: „ექიმო, ჩემი ავადმყოფობა საშიშია?", ექიმი პასუხობს: „მე უკვე გითხარით თქვენ, რასაც საჭიროდ ვთვლიდი, დანარჩენს გამოკვლევები გვიჩვენებს". შემდეგ ავტორი წერს: „ყველაზე მეტად მას სიცრუე აწვალებდა. გარშემომყოფები ირწმუნებოდნენ, რომ ეს მხოლოდ ავადმყოფობაა, რომელიც გაივლის. მას კი კარგად ესმოდა, რომ ეს სიკვდილის პროცესია" *(„ივან ილიჩის სიკვდილი").*

ზემოთ მოყვანილი მაგალითების გააზრების შემდეგ მიხვდებით, რომ ექიმი უნდა აკვირდებოდეს, უსმენდეს პაციენტს და ფიქრობდეს, რა სურს მას, როგორ შეიძლება მისი ინტერესის დაკმაყოფილება, მისი მხარდაჭერა და გამხნევება. გახსოვდეთ, რომ ეს არანაკლებ, ზოგჯერ – უფრო მეტად მნიშვნელოვანია პაციენტისთვის, ვიდრე თქვენ მიერ ჩატარებული სადიაგნოზო თუ სამკურნალო მანიპულაცია.

ან, ვთქვათ, უყურებთ პედრო ალმადოვარის ფილმს: „ყველაფერი დედაჩემის შესახებ". დააკვირდით ექიმისა და მთავრი გმირის საუბარს, როცა ექიმი დედას შვილის გარდაცვალების შესახებ აცნობებს. როგორ აკეთებს ამას ექიმი, როგორია დედის რეაქცია.

მაგალითები უამრავია. კარგი იქნება თუ თქვენც გაამახვილებთ ყურადღებას და შეაგროვებთ მსგავს ნიმუშებს ხელოვნების ამა თუ იმ სფეროდან. გთხოვთ, ჩვენც გაგვიზიაროთ თქვენი მიგნებები და გამოგვიგზავნოთ ინფორმაცია თქვენი ძიების შედეგების თაობაზე. გარწმუნებთ, რომ სამედიცინო საქმიანობის, ექიმის, პაციენტის შეგრძნებების, განცდების, შთაბეჭდილებების ამსახველი ხელოვნების, ნაწარმოებების ცოდნა დიდად დაგეხმარებათ ექიმისთვის აუცილებელი ფასეულობების ჩამოყალიბებაში.

დასასრულ, გვინდა წარმატება გისურვოთ. კარგი იქნება თუ დასაწყისშივე გაითავისებთ, რომ მთელი თქვენი საქმიანობა პაციენტის კეთილდღეობისკენ უნდა იყოს მიმართული. აი, რას ამბობდა ზემოთ ერთხელ უკვე მოხსენიებული ცნობილი ამერიკელი ექიმი უილიამ ოსლერი:

***„კარგი ექიმი მკურნალობს დაავადებას, გამორჩეული ექიმი მკურნალობს ადამიანს".***

**პროფესორები**
**გურამ კიკნაძე,**
**გივი ჟავაშვილი,**
**თსსუ-ის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი და ცენტრი**

## ფოტოობიექტივში



გამოცდების წინ...



სტუდენტები თსსუ-ის ბიბლიოთეკის კომპიუტერულ ცენტრში

# ახალი ნაბიჯი



ახალ, ჯერ კიდევ გაუბედავ, ნაბიჯს დგამს პირველკურსელი. ის ახალ, ჯერ კიდევ შეუცნობელ, გარემოში ცდილობს თვითდამკვიდრებას. ეს პროცესი ძალიან რთული და საპასუხისმგებლოა... ბევრი ახალი ადამიანი, კეთილგანწყობილი და ცნობისმოყვარე, რაღაც ნაწილი არაკეთილგანწყობილიც, დაბნეულობა და საჭირო ინფორმაციის მიღების დროულობის პრობლემა, სურვილი – მეტი დრო დაგითმონ, განგიმარტონ, აგიხსნან, მოგისმინონ, მოძებნო საკუთარი ინტერესი, იპოვო მეგობრები და თანამოაზრეები, ისწავლო და მიეჩვიო ურთიერთობის ახალ ფორმებს, იპოვო საკუთარი თავი და საფუძველი ჩაუყარო დამოუკიდებელ, ანალიტიკურ აზროვნებას, გადაწყვეტილების მიღებას, პასუხისმგებლობის გრძნობას, იყო ყოველთვის სამართლიანი, გენდობოდნენ, იყო გულისხმიერი სხვათა მიმართ, გიხაროდეს მათი წარმატება და განიცდიდე წარუმატებლობას, ისწავლო მოსმენა – ეს ზოგისთვის გააზრებული, ხოლო ზოგისთვისაც გაუაზრებელი პროცესია. საუნივერსიტეტო განათლება მხოლოდ სპეციალური განათლების ან ინფორმაციის მიღების სისტემა კი არა, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და პიროვნებად ჩამოყალიბების სისტემაცაა. ყველა თაობამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სოციალურ ფორმაციაში გაიარა ეს ეტაპები. სტუდენტური ცხოვრების წლები, თუ იგი მდიდარია სხვადასხვა ინტერესითა და სასიკეთო იდეებით, ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავია. ასეთ დროს სწავლაც იოლია და ყველაზე რთული საგნის დაძლევაც შესაძლებელია, ყველაზე არაკეთილგანწყობილი ადამიანის ყურადღების მიპყრობა და წარმოდგენის შეცვლაც შეიძლება. გარკვეული ეთიკურ-მორალური ღირებულებები და ტრადიციები ქმნის საუნივერსიტეტო სკოლებს, სადაც თაობებს თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და თვითდამკვიდრება.

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქაში ვცხოვრობთ, პრობლემად რჩება ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობა. პირველკურსელს, კარგად მოწყობილ სამუშაო გარემოსთან ერთად, ესაჭიროება კარგი და უპრობლემო კომუნიკაცია მართვის ყველა დონეზე, რათა მათი ადაპტაციის პროცესი დანაკარგების გარეშე განხორციელდეს. ასევე, მნიშვნელოვანია მათ მიიღონ უკვე ნაცნობი სასწავლო პროცესისგან განსხვავებული სისტემა, რათა გაიზარდოს მოტივაციაც და ინტერესიც.

**ირინე ზარნაძე,**
**თსსუ-ის ჯანდაცვის მენეჯმენტის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი**

# თქვენ წინ ფართო არჩევანია



ვინაიდან გადაწყვიტეთ, დაეუფლოთ ექიმის მეტად საპასუხისმგებლო პროფესიას და უკვე მოგეცათ ამის საშუალება, პირველ რიგში, მინდა გისურვოთ, შეუდგეთ იმ გზას, რომელიც პაციენტის სიყვარულით აღსავსე უნდა იყოს. ეს არის რთული, გრძელი, საპასუხისმგებლო და მეტად ეკლიანი გზა. ყველა საგანი, რომელთა შესწავლა თქვენ მოგიწევთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სწავლების ვერტიკალსა თუ ჰორიზონტალზე, ერთმანეთზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია და ემსახურება თქვენს, როგორც ექიმად შედგომის საქმეს.

უამრავი შესაძლებლობა და დიდი არჩევანია თქვენ წინაშე, მთავარია გამბედაობა და შემართება; არ შეგაშინოთ პრობლემებმა; იარეთ სულ წინ და წინ; ამას გავალებთ პაციენტის სიცოცხლის გადარჩენა, ამას გავალებთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავალი და, საერთოდ, კაცობრიობის კეთილდღეობა. მინდა გისურვოთ, რომ მომავალი პროფესიული სწავლების და საქმიანობის გზაზე სიტყვები – **„გმადლობთ, ექიმო, მე თქვენ სიცოცხლე მაჩუქეთ!“** – ყოფილიყოს თქვენთვის მთავარი მოტივაცია და ყველაზე მძლავრი იარაღი.

დაგილოცავთ გზას და წარმატებებს გისურვებთ!

**ლუიზა გაბუნია,**
**თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი**

# მე რომ პირველკურსელი ვიყო...

ჩემო ძვირფასო პირველკურსელებო!

გულითადად გილოცავთ თქვენი ოცნების ასრულებას: უმაღლესი სამედიცინო განათლების უპირველესი კერის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის საპატიო და მეტად პასუხსაგები ტიტულის მოპოვებას.

ყოველთვის, როდესაც ახალ თაობას გზას ულოცავ, უნებურად იხსენებ საკუთარს და თავს წარმოიდგენ მის ადგილზე.

მახსენდება უკვე საკმაოდ შორეული 1965 წელი... პირველკურსელი, საკმაოდ მორიდებული, გაფაციცებით შესცქერის დეკანს და ცდილობს მისი ყველა სიტყვის დაჭერას. ასეთი ჩამრჩა მეხსიერებაში ჩემი სტუდენტობის პირველი სექტემბერი. ამასთან ერთად, ჩემი კურსი იყო სტუდენტების პირველი ნაკადი, რომელმაც სწავლა დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტის ახლადგახსნილ მესამე სასწავლო კორპუსში, რამაც მნიშვნელოვნად გაუადვილა პირობები სტუდენტობას. ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა პირველი სასწავლო კორპუსის მშენებლობაც, საიდანაც წარმოქმნილი ხმაური, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ზოგჯერ, გარკვეულ უხერხულობასაც ქმნიდა.

რა დრო გასულა...

დღევანდელ პირობებში თქვენ წინაშეა მეტად დიდი შესაძლებლობები და ყოველგვარი პირობაა შექმნილი ექიმობისთვის სათანადოდ მოსამზადებლად – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მაქსიმალურად აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ტექნიკური საშუალებებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აქ მოღვაწეობენ სამედიცინო კადრის აღზრდისთვის მოტივირებული აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები.

ადამიანი ხშირად დაფიქრდება თავის წარსულზე, ფიქრობს, ამჟამად რომ იწყებდეს, ის ამ გზას სულ სხვაგვარად და, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, უფრო ნაყოფიერად გამოიყენებდა. თუმცა, რეალურად, ყოველთვის ასე არ ხდება. აქედან გამომდინარეობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული სიბრძნე – ყოველთვის ყური დაუგდო და გაითავისო შენი წინამორბედის გამოცდილება, რაც გარკვეულწილად გაგიადვილებს ცხოვრების სავალ გზას.

არაერთხელ მითქვამს ახალგაზრდებთან საუბრისას – ამჟამად თქვენ წინაშე სულ სხვა შესაძლებლობებია, სხვაგვარად შეგიძლიათ წარმართოთ თქვენი ცხოვრება. ცხოვრების ინტენსიურობის ზრდა და რი-



ტმის დაჩქარება აისახა საგანმანათლებლო პროცესზეც, რაც დროის რაციონალურად დაგეგმვასა და გამოყენებას საჭიროებს. თუმცა ცხოვრების დიალექტიკა გვარწმუნებს: ყოველ მომდევნო თაობას ეჩვენება, რომ მის დროს ცხოვრება უფრო რთული, ბევრი რამის (დასახული მიზნის) მიღწევა კი გაძნელებული იყო, შეიძლება ეს გარკვეულწილად ასეცაა – სწორედ ამით არის ცხოვრება საინტერესო, რომ სხვადასხვა თაობის წარმომადგენელს ზოგჯერ განსხვავებული შეხედულება აქვს ერთსა და იმავე მოვლენაზე. სწორედ აზრთა ასეთი ჭიდილია პროგრესის საფუძველი.

ცხოვრების ასეთი დიალექტიკა, ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინებით, საბაბს მაძლევს, გაგიზიაროთ ზოგიერთი შეხედულება თანამედროვე სტუდენტური ცხოვრების პერიოდის უფრო რაციონალურად და ნაყოფიერად გამოყენების შესახებ.

დღევანდელი თაობის სტუდენტობას მეტად დიდი შესაძლებლობები აქვს როგორც პროფესიის სრულფასოვნად დაუფლების, ისე – პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისთვის. უნივერსიტეტის მდიდარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად, ახალგაზრდობა განებივრებულია სტუდენტური თეატრით თუ თვითშემოქმედების მხატვრული კოლექტივებით და ა.შ. ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია უნივერსიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობის ძალისხმევა.

უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის პედაგოგის რანგში, უკვე მეორმოცედ, მივესალმები პირველკურსელებს... დიახ, ეს სასწავლო წელი მეორმოცეა ჩემს პედაგოგიურ საქმიანობაში, სადაც გავიარე პროფესიული ზრდის ყველა საფეხური – ასისტენტობიდან პროფესორობამდე, პროფესორობიდან – კათედრის გამგემდე. როგორც უკვე გამოცდილი და თქვენი ასაკისგან საკმაოდ დისტანციური პირი, გისურვებთ, რომ თავიდანვე აქტიურად ჩაებათ საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში, იმეგობრეთ მრავალმხრივი გამოცდილების მქონე პირებთან (და არა მხოლოდ მედიცინის მუშაკებთან). ეს კიდევ უფრო გაზრდის თქვენს თვალსაწიერს და მკვიდრ საფუძველს შეგიქმნით პროფესიულ დაოსტატებაში – პროფესიონალებად ჩამოყალიბებასა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თქვენი პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში. რაციონალურად და მრავალფეროვნად გამოიყენეთ დრო, რამეთუ უქმად გატარებული ყოველი წუთი, საბოლოოდ, მნიშვნელოვან დროდ ჯამდება და მომავალში გარკვეული გულდაწყვეტის მიზეზიც გახდება ფუჭად დაკარგული დროის გამო.

მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიო მედიცინის და, რა თქმა უნდა, ქართული მედიცინის განვითარების დიდი ისტორიის სათანადოდ შესწავლა, უკვე თქვენთვის მშობლიური თსსუ-ის მდიდარი ისტორიის გათავისება, რამეთუ, სამომავლო გზის სწორედ განსაზღვრა, სწორედ, ისტორიული გამოცდილების გაანალიზებას ემყარება.

აქტიურად ითანამშრომლეთ თსსუ-ის მემატიანესთან, სტუდენტი ახალგაზრდობის უანგარო მეგობართან და გულითად დამრიგებელთან, – „სამედიცინო გაზეთთან“. მის ფურცლებზე თქვენი ნააზრევის ან საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება მომავალში გარკვეული დადებითი და სასიამოვნო მოგონებების წყარო გახდება.

დაბოლოს, მთავარი: გლობალური საინფორმაციო ქსელის ასე ფართოდ განვითარებისა და ადვილი ხელმისაწვდომობის პირობებში, აქტიურად იმეგობრეთ პროფესიული ცოდნის შეძენის მთავარ და შეუცვლელ წყაროსთან – წიგნთან. თქვენი პროფესორები დაუღალავად შრომობენ იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოთ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სახელმძღვანელოებით და სხვა სამედიცინო ლიტერატურით; თქვენს განკარგულებაშია თანამედროვე დონის, მეტად მდიდარი ფონდით აღჭურვილი საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთეკა. თუმცა ამასთან არავინ უარყოფს ინტერნეტის დიდ როლს უახლესი ინფორაციის მოძიების საქმეში.

გზა დამილოცნია სამედიცინო მეცნიერების რთული ლაბირინთების წარმატებით გასავლელად!

**რევაზ კვერენჩხილაძე,**
**თსსუ-ის გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი**

*სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია*

# გზა კვლევისკენ

სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის და სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით – **„გზა კვლევისკენ“,** რომლის ორგანიზებაში, მონაწილეობას იღებდნენ ფარმაცევტული კომპანიები – **„ავერსი-ფარმა“** და **„ნატუროპათი“.**

კონფერენციის საპატიო სტუმრები იყვნენ უცხოელი პროფესორები: **ფედერიკა ვოლფი** (რომის კათოლიკური უნივერსიტეტი, იტალია)





და **ხოსე პეინადო** (გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი), კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო კვლევითი და რეფერატული მოხსენება-პრეზენტაციები როგორც ქართველი, ასევე უცხოენოვანი სექტორის სტუდენტების მიერ. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, რომლებსაც წარმოადგენდნენ თსსუ-ის პროფესორმასწავლებლები და, ასევე, უცხოელი პროფესორები. განსაკუთრებით წარმოჩინდნენ მომხსენებლები: **თორნიკე კალაძე, დავით ჯავახიძე, თამთა ხოდელი, მარიამ ხოხიაშვილი, თარაკა დუნუვილა, საჯინი ჰერათი, აბდულა მოჰინადიინი, მარიო ანანდაფა, სენალ როდრიგო, სურაჯ დისანაიკე,** რომლებიც სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაჯილდოვდნენ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაზე მონაწილეობის დაფინანსებით (ბათუმი, 2012წ.).

უცხოელმა პროფესორებმა კონფერენციის დაწყებამდე საინტერესო ლექციები წაიკითხეს სამეცნიერო უნარ-ჩვევების სასწავლო კურსში, აღნიშნეს სტუდენტების მიერ მოხსენებული პრეზენტაციების მაღალი დონის შესახებ; ასევე, გამოთქვეს ზოგიერთი შენიშვნა და თავიანთი ლექციების ჭრილში სტუდენტებს საინტერესო რეკომენდაციები მისცეს, რომლებსაც ისინი გაითვალისწინებენ მომავალ სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში.

თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი ახალი სტრუქტურული ერთეულია და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია უცხოელი კოლეგების თანადგომა და მათ მიერ წაკითხული ლექციები სამეცნიერო უნარ-ჩვევების კურსში. საპატიო სტუმრებმა – პროფესორებმა **ფედერიკა ვოლფმა** და **ხოსე პეინადომ** გამოთქვეს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი და მზადყოფნა სასარგებლო და ნაყოფიერი კონსულტაციებისთვის.

**ლუიზა გაბუნია,**
**თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი**

# Tbilisi State Medical University Press

Annex to the "Medical Newspaper"

The Special Edition | September 2012 | www.tsmu.edu




# Dear students and collegues!

Tbilisi State Medical University Administration, Academic and Representative Boards and Professors congratulation on the new academic year!

To begin a new academic year is a very special moment for eveyone with its new programs, new students and expections. The new academic year is most important for the first year sudents, that is why I would like to congratulate them on behalf of Tbilisi State Medical University and wish them good luck on the way of the professional development and bright future!

We have a big responsibility to save human life, which needs high professionalism and hard work.

I would like to congratulate and extend my appreciation to the University Academic Staff, whose everyday work is the key of our university high-raking and continious development. I am sure they will work again with faith and responsibility in this upcoming year to train future doctors, to develop medical science and patient care, and will continue successful clinical work.

My warmest congratulations to our foreign medical students, which will be more than 1400 students in this academic year. It is very important that in last three years the number of the foreign exchange students at Tbilisi State Medical University has increased seven fold. The geographic area of our university is broad –including 42 nationalities that are studing at our university.

The project, initiated by the President of Georgia, is still continuing successfully at Tbilisi State Medical University. The goal of the project is to invite well respected professors of different specialties from the United States, the countries of the European Union, the Great Britain, Turkey and Israel. Since March of 2012, 73 foreign professors have visited and delivered lectures at Tbilisi State Medical University. Within the structure of the project, 36 foreign professors will start to work with us at the beginning of the 2012-2013 academic year. I would like to greet and thank them for their collaboration! The program is very important for the students, residents and professors of our university.

This academic year we congratulate our numerous suppoters and partners, who contribute to the progress and development of Tbilisi State Medical University. Relatively, our success is their success, too.

Together, we will follow our universities famous academic traditions, to bring educational and highly-qualified doctors and nurses, pharmacists and health care workers. United we will protect civil, professional and ethical principles. We will work hard to maintain the good reputation of doctors and teachers in our field, and we will be in the service of our country.

We have many obstacles and serious challenges ahead of us, but I am sure, we will overcome all of these problems with hard work and intelect.

The Tbilisi State Medical University administration, students, teachers and professors will do everything they can for the future of medicine in Georgia.

**Professor**
**ZURAB VADACHKORIA,**
**Rector of Tbilisi State Medical University**

## Tbilisi State Medical University offers educational programs leading to all three academic degrees:

- One – cycle educational program leading to MD degree, running in Georgian, Russian and English
- US Medical Doctor (Doctor of Medicine Degree (MD)) program
- One – cycle educational program in Stomatology running in Georgian, Russian and English
- Bachelor's program in Public Health
- Joint Georgian - French undergraduate program in Public health and management –(awarding double Georgian and French diplomas) running in Georgian, Russian and English
- Bachelor's program in Pharmacy running in Georgian, Russian and English
- Bachelor's program in Physical Medicine and Rehabilitation, running in Georgian, Russian and English
- Bachelor's program for Nurses running in Georgian, Russian and English
- Bachelor's program for Midwives running in Georgian, Russian and English
- Master's program in Public Health
- Master's program in Public Health Administration and Management
- Master's program in Epidemiology and Environmental Medicine.



- Master's program in Health Promotion and Healthy Education
- Master's program for Adviser in Rehabilitation
- Master's program in Pediatric Rehabilitation
- Master's program in Industrial Pharmacy
- Master's program in Pharmaceutical Analysis
- Master's program in Pharmaceutical Management
- Master's program in Pharmaceutical Cosmetology and Perfumery
- Doctoral programs in Medicine
- Doctoral programs in Stomatology
- Operator of Medical and Pharmaceutical Devices (professional education program).

# HISTORY OF TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

The University was solemnly opened on 8th of February, 1918 (old style 26th of January), the day of remembrance of the Georgian King David the Builder. Since that, this day remains one of the most significant events in the history of the nation.

The founders of the Georgian University well understand the importance of introduction Higher Medical Education. The primary initiator of the university foundation, the reverend Professor IvaneJavakhishvili, had been speaking about the reasons of establishment of Medical Faculty "We still need to carry out research on the endemic flora and fauna in our country. Many human diseases have various characters and most are as yet unstudied. Consequently, scientific workers at our University's Medical and Natural Sciences Faculties have a broad challenge area".

The first Rector of University Professor PetreMelikishvili was an active supporter of medical faculty creation. On the meeting of "Georgian Physicians and Natural Sciences Society" (12th of October, 1917), he has expressed his opinion about the necessity of opening the medical and natural sciences faculty.

On February 27th, 1918, University Professors Faculty Council confirmed the exigency of creation of Medical Faculty. In June 17th, the same Council of Georgian doctors and Natural Scientists in the presence of the Chairman SpiridonVirsaladze decided to open Mathematics-Natural Sciences and Medical faculty.

In June 10, 1930 the Tbilisi State University was reorganized and Tbilisi State Medical University was founded. This has become a powerful stimulus of development Higher Medical Education and Medical Sciences in Georgia.

Tbilisi State Medical University at the foundation consisted of three faculties: Medical- Preventive (including Division of Stomatology), Sanitary- Preventive and Pharmacochemistry.

During the 80 years long history of the University in different periods of time were founded and functioning the following faculties: Paediatrics (since 1931), Stomatology (since 1936), Military Medicine (since 1993), Medical-Biology (since1994), Psychosomatic medicine and Psychotherapy (since1996).

To date Tbilisi State Medical University has five faculties: Medicine, Stomatology, Pharmacy, Public health, Physical medicine and rehabilitation. Tbilisi State Medical University runs four Higher Education Programs: General Practice Nurse, Midwifery, Medical Devices Technician, and Pharmacy Technician.





The analysis of objective, sometimes revolutionary, political and ideological changes in the country and Society that took place in the decades of the 90's of the last century, revealed that for the achievement of University goals the establishment of larger space is necessary. The newly acquired autonomy would have been merged with new University structure that was the way for transformation of Medical Institute into University and for that the preconditions were already existed. The Author of this objective and well founded request was Tbilisi State Medical University itself.

24th of November 1992 is the historic day for Higher Medical Education in Georgia. The new stage was launched by the transformation of Tbilisi State Medical Institute into Tbilisi State Medical University.

Tbilisi State Medical University from the very beginning found itself in the forefront of overcoming the XXI century challenges of reforming medical education. In 1997 University has already developed a strategy of outcome-oriented teaching methodology implementation. The strategy has been developed on the bases of European experts recommendations. After all, University is a member of the Association of Medical European Education (AMEE), also a member of the World Federation for Medical Education (WFME) and cofounder of the. East –European Association of Medical Education (EEAME). University is not only the executor of legislative and recommendatory regulations of these International Organizations, but also participated in the recommendations systematization process.

According to above mentioned experts modern, competitive International Medical education considers the following main points: Critical thinking, Information management and Comunicative skills. These are the basis for development of basic sciences and public health, professional values and relations.

By 2006, the necessity of implementation already existing Law on Higher Education of Georgia on the one hand, and the need of implementation full coverage of European and global advantages of medical education together with international commitments to reform the system of medical education on the other hand, have put the medical community to face the objective challenges.

The health care system with the old regulatory and financial mechanisms was poorly manageable. Accordingly, the traditional forms of training of qualified medical professionals required innovative changes. A three-stage system of higher education (baccalaureate, magistracy and doctorate) called for coordination with the process of post-graduate education. All this would make it possible to implement harmoniously the "life-long learning principles", although it's clear that the creation of such a continuum requires appropriate material and human resources.

All the aforesaid have caused a very significant step in Georgia's system of higher medical education - in 2006 Tbilisi State Medical Academy was integrated into Tbilisi State Medical University. The merging of these traditional medical schools in TSMU as one Medical Institution united also undergraduate and postgraduate medical education facilitated multilateral development of traditional medical and entire natural sciences.

By 2007, the faculty of Therapeutic Physical Training and Rehabilitation of the State Academy of Physical Culture and Sport joined TSMU.

To this highly significant union was supplemented by competition for engagement in academic positions conducted in 2006 and 2007. As a result of the last competition there are 371 academic personnel: full professors, associate professors and assistant professors in TSMU. Besides them, 350 invited teachers are involved in academic process.

Tbilisi State Medical University collaborates with more than 40 Universities and centres; international scientific cooperation instigated to launch of numerous joint projects of International or National significance.

Nowadays TSMU has employed the highly intelligent, highly qualified pedagogical personnel and scientists. The University traditions, experience, reputation/authority and potential gives hope for its further successful development.

# American Doctor of Medicine Degree Program

From 2012 academic year Tbilisi State Medical University (TSMU) and Emory University School of Medicine (ESOM, Atlanta, USA) will launch the joint project to develop a new "American Program of Medicine" at TSMU that is modeled after the curriculum at Emory.

The program will be pilot and utilized on two pilot groups (20-25 students) on the faculty of Medicine at TSMU. The program is already accredited by the Ministry of Science and Education of Georgia and named as "American Program of medicine".

The program is fully integrated, English medium and its duration is 6 years.

The program graduates will be awarded by Doctor of Medicine Degree – (MD).

Admission requirement: more than 75% score in English proficiency at State National Exams.

Tuition Fee: 8000 GEL for Georgian citizens and 10 000 USD (equivalent in GEL) for overseas. The tuition fee is determined by:

Need of retraining of TSMU academic and administrative staff in US (Emory School of Medicine);

Invitation of ESOM academic and administrative staff to Tbilisi;

Provision and organization of USMLE exams (students of the program should pass USMLE step 1 on the 7th semester and step -2 at the completion of the program);

Organization and provision of academic and material recourses for so called premed Humanity Studies (subjects like Anthropology, Art History, Americanistics, Journalism, Philosophy and Religions are new for TSMU) in the first 2 years.

Scientific Phase – which is essential part of the program - should be utilized in high tech laboratories as in US as Georgia during 4-6 months. Successful students can proceed their research at Emory School of Medicine and get MPh or/and PhD.

For provision of full integration of fundamental and clinical subjects the following steps should be done: re-equipment and modernization of simulator center, development of information technologies which are essential for modern learning and evaluation process.

The curriculum was designed to produce graduates with the following characteristics:

Superb clinicians with high professionalism, outstanding clinical competency and problem solving skills, and the ability to understand and utilize basic science in the clinical setting.

Curious and creative thinkers with the ability to utilize all available resources to answer clinical and research questions and to appraise information critically.

Lifelong learners with the ability to take ownership of their own present and future educational needs.

Passionate people, passionate about medicine and making a difference, involved in and appreciative of efforts to improve the health of the local and global communities and in social justice.

Physicians committed to understanding the sociological, psychological, and economic issues of the patient, the family, and the community.

Future leaders eager and able to play leadership roles in their chosen field of medicine or biomedical science.

# Greetings from the Student Government



I would like to greet you on the behalf of the Student Government of Tbilisi State Medical University and congratule you, the students, professors, teachers and administration on the new academic year! I wish you to make this year successful!

2011- 2012 academic year was productive for the Student Government. Our teams made successfully about 130 scientific, cultural, sport, social and other kind of projects, were lots of students were invloved in. We participated in some interuniversity events, such as "Universiade 2011 ", "Students' Days", and " Intellecual Championship", where our team became the winner.

We have been successful in the international arena: Tbilisi State Medical University Student was elected as member of the board of the European Medical Student Association. Our students participated in the International summits and conferences, such as "EMSA GA", "EMSA NCM" and "EMSCON". The European Pharmaceutic Student Association Georgia was established and the relationships with European colleagues were developed. Last year was importantly successful because of the exchange programs. Our students had clercships in the university clinics in Netherlands, Austria, Germany, Hungery, Poland, France, Israel, Turkey.



I would like to address Tbilisi State Medical University Students, especially the first year students: you became the students of the best university, where 41 foreign countries' citizens are studying. Last year about 73 foreign professors deliverd the lectures at our university . It is a university where the student life is very active and motivating. Get involoved actively in the student life and enjoy it with your friends!

**GIGA SORDIA, The president of the Student Government**

# Joint Bachelor of Public Health program at Tbilisi State Medical University

UniMan
ACADEMY OF MANAGEMENT AND PERFORMANCE



From September, 2012 French - Georgian Bachelor program "Public Health and Management" has been jointly worked out between Tbilisi State Medical University and the UniMan Academy of Management and Performance ("UniMan", France).

From September, 2012 two pilot groups will study this program running in Georgian on the first and second year on the faculty of Public Health at Tbilisi State Medical University. Based on the own statement, any student of the first or the second year of the faculty of Public Health can apply to this new Georgian-French program " Public Health and Management".

Georgian-French program - "Public Health and Management" is running in Georgian language for Georgian citizens and in English – for international students.

The program graduates will be awarded by 2 diplomas:

1. Georgian diploma, approved by Georgian law
2. French diploma, approved by French law

The program duration is 4 years. Tuition Fee is 4 000 GEL for Georgian citizens and 4 000 USD - for overseas.




# Tbilisi State Medical University Participation in the forum of the International Association of Medical Education

New Methods of Medical Education is being rapidly developed with other scientific fields. New methods such as Objective Structured Clinical



Examination ( OSCE ), computer-enhanced teaching, evaluating and presentating technologies have been implemented in medical field. Medical education courses are annually reviewed and renewed on the conference of the International Association of Medical Education (AMEE), where sharing, exchanging and analyzing of experience is held. The Association for Medical Education in Europe (AMEE) is a worldwide organisation with members in 90 countries, including Tbilisi State Medical University. AMEE organises an annual conference and delivers courses on teaching, assessment, simulation,



computer-enhanced learning, research and leadership skills for teachers in medicine and the healthcare professions.

On August 25 – 30 , 2012 the conferecne of the Association for Medical Education in Europe was held in Lyon (France), where the delegation of Tbilisi State Medical University participated in. The delegation of Tbilisi State Medical University was represented by Rector of Tbilisi State Medical University, Prof. Zurab Vadachkoria, Deputy Rector, Prof. Rima Beriashvili, Head of TSMU Department of Medical Education, Research and Strategic Development, Prof. Gaiane Simonia and Head of the Direction of Endodontic of TSMU Department of Odontology, Prof. Marina Mamaladze. An



Objective Structured Clinical Examination ( OSCE) on the faculty of Stomatology of Tbilisi State Medical University has been led by Prof. Marina Mamaladze. After three-step application process, Prof. Marina Mamaladze's topic "Introducing OSCE for Stomatology Education in Georgia: Experience of Tbilisi State Medical University " was chosen to be presented on the conference of the Association for Medical Education in Europe. Prof. Marina Mamaladze presented her topic by the electronic poster, which is a new form of presentation and was used for the fisrt time on the conference of the Association for Medical Education in Europe. Prof. Marina Mamaladze's poster presentation caused the big interest among the attenadnts and participants of the conference and it was approved by the experts.

**The Annex of the Medical Newspaper is prepared by Salome Kikvadze, Public Relations Department, Tbilisi State Medical University**



# პასუხისმგებლობით აღსავსე გზის დასაწყისთან



მოგესალმებით ჩემო უმცროსო კოლეგებო და გილოცავთ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობას. დამერწმუნეთ, ჩვენი უნივერსიტეტი ნამდვილად გამორჩეულია, რაშიც ყველა თქვენგანი ძალიან მალე დარწმუნდება. ჩვენთან თითოეულ ახალგაზრდას აქვს საშუალება, მიიღოს სრულფასოვანი თანამედროვე სამედიცინო განათლება და სათანადოდ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობანი. ალბათ ფიქრობთ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ ველარაფერი შეგაშინებთ და მთავარი წინააღმდეგობა უკვე გადალახეთ, მაგრამ, მერწმუნეთ, სწორედ ახლა იწყება ძალზე დიდი, ნამდვილი წინააღმდეგობებით, ,,სასიამოვნო" სირთულეებით, პასუხისმგებლობით აღსავსე საინტერესო გზა. სამწუხაროდ, ყველას არ შეუძლია ამ გზის წარმატებით გავლა, ამიტომ ძალზე დიდი ძალისხმევა და შრომისმოყვარეობის გამოჩენა მოუწევს თითოეულ თქვენგანს სასურველი შედეგის მისაღწევად. მომავალ წლებში ბევრჯერ შეხვდებით ისეთ საგნებს, რომლებსაც ალბათ ჩათვლით, რომ არაფერი აქვთ საერთო კლინიკასთან და მათ გარეშეც შეძლებთ კარგი ექიმები გახდეთ. ჩემი რჩევა იქნება, ყველა საგანი, რაოდენ უინტერესოდ და ძნელად გეჩვენოთ, მეორეხარისხოვნად არ მიიღოთ და საფუძვლიანად შეისწავლოთ, განსაკუთრებით კი ყურადღება გაამახვილოთ ბაზისურ საგნებზე. აუცილებლად დიდი გულისყურით მოეკიდეთ უცხო ენის შესწავლას. მისი კარგად ცოდნა საშუალებას მოგცემთ ჩვენს უნივერსიტეტსა და უცხოეთის მრავალ წამყვან კლინიკას შორის არსებული გაცვლითი პროგრამების ფარგლებში გაიღრმაოთ ცოდნა. ეცადეთ სწავლის პერიოდშივე შეძლოთ სტაჟირების დაწყება სხვადასხვა კლინიკაში, თუნდაც ამისთვის არაერთი ღამისთევა დაგჭირდეთ. ეს დაგეხმარებათ არა მარტო საგნების უკეთესად შესწავლასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებაში, არამედ უნივერსიტეტის შემდგომი განათლების მიღების დროსაც. გისურვებთ წარმატებებს!

**მანონი კუჭუხიძე,**
**მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი**

# რაღაც ახალი და განსხვავებული...



მოგესალმებით და ყველას გილოცავთ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და სტუდენტობას. ალბათ გაინტერესებთ, როგორია სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა? მინდა გითხრათ, რომ ეს არის რაღაც ახალი, განსხვავებული, ის რაც აქამდე არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში, უამრავი სიახლითა და მოულოდნელობით, მუდმივი გამოწვევებით აღსავსე, სადაც მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მიღება და საკუთარი "მეს" შენარჩუნება.

ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყება თქვენი კარიერის პირველი ნაბიჯები და ამ მრავალი განსაცდელით აღსავსე გზაზე მნიშვნელოვანია ღირსეულად სიარული. ძალიან რთულია, ყველაფერს მარტო გაართვა თავი, ამიტომ გირჩევთ, იქონიეთ რეგულარული კონტაქტი უფროსკურსელებთან, ამა თუ იმ საკითხის მნიშვნელობისა და მოგვარებისთვის მიიღეთ მათგან რჩევები.

აქვე ვიტყვი, რომ ჩვენს უნივერსიტეტში არსებობს სპორტისა და ხელოვნების დეპარტამენტი, რომელიც მრავალი მიმართულებით მუშაობს და შესაძლებლობების ფართო ასპარეზი აქვს. აქციეთ თქვენი ჰობი "მეორე პროფესიად" და გაიხალისეთ ცხოვრება.

გისურვებთ წარმატებას!

**რეზი ლაშქარაშვილი,**
**მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი**

# წარმატებული საქმიანობისთვის



სკოლის დამთავრების შემდეგ თითოეული ახალგაზრდის ცხოვრებაში დგება უმნიშვნელოვანესი ეტაპი – სწავლის გაგრძელება სასურველი პროფესიის დაუფლების მიზნით.

გერქვას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლოა.

პირველკურსელებო, როგორც უფროსმა კოლეგამ, მინდა გირჩიოთ, რომ სწორედ ასეთი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით მოეკიდოთ სწავლას სამედიცინო უნივერსიტეტში. გახსოვდეთ, თქვენი პროფესიული არჩევანით მომავალი დაუკავშირეთ ისეთ რთულ და უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს, როგორიც ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

პირველი კურსი განსაკუთრებით გამორჩეული და მნიშვნელოვანია სტუდენტობის პერიოდში. სწავლაში წარმატების მიღწევა ამ ეტაპზე თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს თქვენგან. სწორედ პირველ კურსზე იყრება ის საძირკველი, რომელიც მომდევნო წლებში თქვენი წარმატებული პროფესიული საქმიანობის მთავარი საყრდენი გახდება. მერწმუნეთ, ამ პერიოდში მიღებული ცოდნა ნამდვილად გაგიმარტივებთ ახალი ინფორმაციის ათვისებას მომავალში.

ჩემო უმცროსო კოლეგებო, მომავალში სწორედ ჩვენ უნდა შევიტანოთ წვლილი და მივიღოთ სერიოზული გადაწყვეტილებები ამ სფეროს კიდევ უფრო განვითარებისთვის, ამიტომ უნივერსიტეტში სწავლის ყოველი დღე გამოიყენეთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება საფუძვლიანი, სრულფასოვანი ცოდნა მიიღოთ, ეს კი თავდაუზოგავ შრომას, ენერგიას და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ამის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა. ცოდნის დაუფლების ურთულეს, თუმცა, საინტერესო პერიოდში, თქვენ გვერდით იქნებიან კვალიფიციური პედაგოგები – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმასწავლებლები.

წარმატებული იყოს თქვენი პირველი ნაბიჯები არჩეული პროფესიის დაუფლების გზაზე; ღირსეულად გეტარებინოთ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო სტატუსი.

**მარიკა კაკაურიძე,**
**საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი**



# ცოდნა ძალაა

გლობალიზაცია და, ზოგადად, თანამედროვე სამყარო კაცობრიობას ზუსტ და მკაცრ მოთხოვნებს უყენებს.

ინდივიდუალობის შესანარჩუნებლად საჭიროა, გქონდეს ძლიერი ბერკეტი, რომლის გამოყენებითაც ისეთი „ძალაუფლების" მფლობელი გახდები, რომელიც, თავისთავად, მშვიდობიანიცაა და სასარგებლოც. სწორედ ასეთი ბერკეტია განათლება. განათლებით მიღებული „ძალაუფლება" საყოველთაოა, რომელიც მოიაზრება ყველა სფეროში, განსაკუთრებით, მედიცინაში.

მინდა მივმართო პირველკურსელებს, რომლებმაც გადაწყვიტეს, მედიცინა შეისწავლონ, უპირველეს ყოვლისა, ყოველი თქვენგანი უნდა აცნობიერებდეს თუ რა დიდი პასუხისმგებლობა იტვირთა ამ არჩევანით.

ჩემი აზრით, ყველა პროფესიას გარკვეული პასუხისმგებლობა ახლავს, მაგრამ ჩვენი პროფესია განსაკუთრებულია, რადგან ადამიანის სიცოცხლესთან და ჯანმრთელობასთან გვაქვს საქმე და სულ მცირე შეცდომამაც კი შეიძლება მოულოდნელი შედეგით დასრულდეს. სწორედ ამიტომ, თითოეულმა სტუდენტმა უნდა გაითავისოს, გაითვალისწინოს, რომ მომავალი ექიმისთვის მხოლოდ დაუღალავი შრომისა და სწავლის შედეგადაა შესაძლებელი კრიტიკულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღება.

თითოეული საგანი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ისწავლით, გააახლოებთ დიდ მიზანთან, რომელიც ზოგიერთ თქვენგანს ბავშვობიდანაც კი დაუსახავს. მაქსიმალურად შეეცადეთ, ყოველ მომდევნო წელს უფრო და უფრო მეტი ცოდნა შეიძინოთ წინა წელთან შედარებით, ისწავლეთ არა უბრალოდ იმ მიზნით, რომ ე.წ. ზღვარი გადალახოთ და ქულა მიიღოთ, არამედ იმისთვის, რომ უფრო თავდაჯერებულები გახდეთ.

„იცოდე", თავისთავად, ნიშნავს „ვითარდებოდე", რაც შეეხება თავდაჯერებულობას, იგი მხოლოდ განათლებას მოაქვს. აქვე მოვიშველიებ ცნობილი მწერლის, ოტია იოსელიანის ფრაზასაც: **„რაც უფრო მეტი იცი, უფრო მეტი ცოდნა გმართებს!"**. ეს სწორედ მედიცინის სფეროსთვის უნდა იყოს ამოსავალი.

ჩვენს უნივერსიტეტში თითოეული პროფესორ-მასწავლებელი მაქსიმალურად ცდილობს, რომ საპროგრამო „ზღვა მასალა", შესაძლებლობისდაგვარად, ამომწურავად მოგვაწოდოს, თუმცა, სწავლისთვის იმდენი დროა გამოყოფილი, რომ ეს „ზღვაც" დაუბრკოლებლად გადაილახება, მთავარია მონდომება და ნებისყოფა.

ჩვენს ქვეყანას უკეთესი მომავალი სჭირდება, მომავალი კი თქვენს ხელთაა, ასევე, თქვენს ხელთ იქნება უამრავი ადამიანის ჯანმრთელობის ბედიც: ასე რომ, არც სიზარმაცის და არც ზერელე სწავლის დრო არაა. წარმოიდგინეთ რამდენ ადამიანს აქვს ექიმის იმედი, რადგან სიცოცხლის წყურვილი ძალიან დიდია.

დასასრულ, გავიხსენოთ ძალიან მნიშვნელოვანი ლათინური ფრაზა: **„ცოდნა ძალაა"**. სწორედ ექიმის ხელში იქცევა ხოლმე მიღებული უამრავი თეორიული მასალა იმ ძალად, რომელიც ადამიანს სიცოცხლეს უნარჩუნებს, რადგან დაკარგულ დროს ვერ აინაზღაურებ და ვერც წარსულს დააბრუნებ, ისწავლეთ იმდენად კარგად, რომ ადამიანის ჯანმრთელობას **„არ ავნოთ"** და ეცადეთ გააკეთოთ დღევანდელი საქმე მხოლოდ დღეს, ხოლო სტუდენტის უპირველესი „საქმე" ცოდნის მიღება უნდა იყოს...

**ნათია გოგატიშვილი,**
**სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი**

# თქვენ წინ უზარმაზარი სამყარო იშლება!



პირველი კურსი სასწავლო პროცესის სწორედ ის საკვანძო ეტაპია, რომელიც განსაზღვრავს მომავალი ექიმის პროფესიულ წარმატებას!

ვაღიარებ, თავის დროზე ჩვენც ძალიან გვიჭირდა პირველ კურსზე სწავლა, რადგან ყველაფერი სიახლე იყო და დაბნეულები ვიყავით... ზოგიერთი საგნის სირთულე კი იმდენად აღემატებოდა ჩვენს შესაძლებლობებს, რომ, ლამის, მთელი კვირის მანძილზე ერთ პარაგრაფს ვამზადებდით, თუმცა, ამად ნამდვილად ღირდა! განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ისეთი საგნების დაუფლება, როგორებიცაა: **ქიმია და ჰისტოლოგია.** უნდა ითქვას, რომ ორივე კათედრა ძალიან მომთხოვნი იყო და ჩვენც ჩათვლებისა და გამოცდების შიშით, თითქმის, არ გვეძინა...

რთული საგნების წარმატებული დაუფლების საიდუმლო იმაშია, რომ ყველა ლექციას უნდა დაესწრო, ყოველ პრაქტიკუმზე იაქტიურო, სხვების მონაყოლს მოუსმინო და თავადაც ინტენსიურად იმეცადინო.

ბევრი ჩვენგანი, გარდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა, დამატებითი ლიტერატურითაც ვსარგებლობდით, შედეგად _ უფრო კარგად და ნაყოფიერად ვეუფლებოდით ახსნილ მასალას; მეც იმასვე გირჩევდით, ნუ შეეცდებით ღამით მეცადინეობას და ნურც მეორე დღისთვის გადადებთ მოსამზადებელს, რადგან საკმარისია, თუნდაც ერთხელ რომელიმე ნაწილი მოუმზადებელი დაგრჩეთ, მაშინვე წარმოუდგენლად გართულდება ყველაფერი. განსაკუთრებული მონდომებით იმეცადინეთ **ქიმია, ჰისტოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია და გენეტიკა.** ეს საგნები საკვანძოა და სწორედ აქ მიღებულ ცოდნაზე იქნება დამოკიდებული მომავალში **ბიოქიმიის, ფარმაკოლოგიის, პათოლოგიური და ტოპოგრაფიული ანატომიის, ქირურგიის** დაუფლების ხარისხი. სამწუხაროდ, ზოგიერთი სტუდენტი მხოლოდ იმ საგანს სწავლობს, რომელიც ჰგონია, რომ „გამოადგება!" ნუ გაიმეორებთ ამას: ყველა საგანი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, ამაში თქვენ თანდათან დარწმუნდებით.

ერთი სიტყვით, თქვენ წინაშე უზარმაზარი და დაუსრულებელი სამყარო იშლება და მთელი გულით გისურვებთ წარმატებებს!

**გიორგი ღოღობერიძე,**
**მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი**

# უდიდესი პატივი



ადამიანი, რომელიც მომავალ პროფესიას მედიცინას უკავშირებს, უნდა აცნობიერებდეს, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგება. მედიცინა ის სფეროა, რომელიც სულ მცირე შეცდომასაც არ გპატიობს, ხოლო ექიმი ის ადამიანია, რომელიც უდიდეს ნდობასა და პატივისცემას იმსახურებს. რამდენადაც პატივსაცემია პროფესიონალი ექიმი, იმდენად საშიშია უვიცი მკურნალი თუ მედიცინის სფეროში მოღვაწე ნებისმიერი ადამიანი. გერქვას პროფესიონალი და იყო წარმატებული, მოითხოვს უდიდეს შრომისმოყვარეობასა და ნებისყოფას. გერქვას სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, უდიდეს პატივს და, ამავდროულად, წიგნებთან გათენებულ ღამეებს ნიშნავს.

თავდაპირველად, თითქოს, ყველაფერი რთულია, გიჭირს დაძაბულ რეჟიმში ცხოვრება, მუდმივად ლექცია-პრაქტიკუმებზე დასწრება, შინ დაბრუნებულს უამრავი სამეცადინო გელოდება, წელიწადში ორჯერ კი _ სტუდენტებისთვის არც თუ ისე საყვარელი გამოცდების ჩაბარება. თუმცა, გადის დრო და ხვდები, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ღირს იმ უდიდეს სიამოვნებად, როგორიცაა წარმატებული სტუდენტის სტატუსი, საოცრად დიდი და საინტერესო სამედიცინო ინფორმაციის ფლობა, ყოველდღე იმის გაცნობიერება, რომ პროფესიულად ვითარდები და ყოველი დღე შენს საქმიანობაში გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. პირველი სტიპენდიის სიხარულს ხომ მართლაც არაფერი შეედრება. როგორც ჩვენი დეკანი, ბატონი ბიძინა, ხშირად გვიმეორებს, ეს ის დროა, როცა ჩვენ თვითონ უნდა გამოვჭედოთ ჩვენი მომავალი და ფუჭად ჩავლილი თუნდაც ერთი დღე უპატიებელია.

წარმატებული სტუდენტი უნდა ახერხებდეს, სწავლას შეუთავსოს საუნივერსიტეტო ღონისძიებებსა და სტუდენტურ აქტივობებში მონაწილეობა, რაც, ასევე, მნიშვნელოვანია გამოცდილების მისაღებად და სტუდენტური ცხოვრების ხიბლის აღსაქმელად.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ახალბედა სტუდენტებს მინდა ვურჩიო, რომ განსაკუთრებული მონდომებით მოეკიდნონ მომავალ საქმიანობას. ხშირად კამათობენ, რომელი უფრო პრიორიტეტულია – იყო მკურნალი ექიმი თუ მენეჯერი. მე კი ვთვლი, რომ ორივე მნიშვნელოვანია, მაგრამ სწორად ორგანიზებული ჯანდაცვა ჯანმრთელი საზოგადოების და ქვეყნის ძლიერი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბების საწინდარია. ეს ყველაფერი კი წარმოუდგენელია განათლებული და გამოცდილი ჯანდაცვის ორგანიზატორების გარეშე, როგორებიც უნდა ვიყოთ მე, თქვენ და ჩვენი მომავალი კოლეგები.

**თეა ბაქრაძე,**
**საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი**

სამედიცინო გაზეთი

# განათლებული ადამიანი ძლიერია



მე რომ პირველკურსელი ვიყო, აუცილებლად დავსვამდი **კითხვებს:**

რატომ არის საჭირო სწავლა, რატომ ვაგრძელებთ სწავლას უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებლებში? – ახალი ნაცნობ-მეგობრები რომ გავიჩინოთ? უფრო მეტად რომ ჩამოვყალიბდეთ, როგორც პიროვნებები? ჩვენით რომ იამაყონ მშობლებმა და ახლობლებმა? ისეთ პროფესიას რომ დავეუფლოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს საკუთარი თავის რეალიზებისა? ეკონომიკურად რომ უზრუნველვყოთ ჩვენი ოჯახები (სულ მცირე, ჩვენი თავი მაინც) და ამაღლდეს ჩვენი სტატუსი საზოგადოებაში?

**პასუხი:** ერთიც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც და ა. შ.

რაც შეეხება იმას, რომ სწავლა „მოდაშია“, სწავლა ყოველთვის „მოდაშია“ და ასე იქნება ყოველთვის, იმიტომ, რომ განათლებული ადამიანი ძლიერი, კონკურენტუნარიანი და საიმედოა, საკუთარი თავისთვის, ოჯახისთვის და ქვეყნისთვისაც.

შევაღებთ რა უნივერსიტეტის კარს, უკვე ვხდებით ახალი საზოგადოების წევრი, ურთიერთობა გვაქვს როგორც ღვაწლმოსილ პროფესორ-მასწავლებლებთან, ასევე, მეოცნებე, ამბიციებით სავსე, სწავლას მოწყურებულ სტუდენტებთან, რომლებიც მომავალში სათანადო ადგილს დაიმკვიდრებენ ქვეყანაში, ზოგი – ცოტა ადრე, ზოგიც – ცოტა გვიან, მაგრამ ყოველთვის ვიამაყებთ, რომ ამ ადამიანებს უკავშირდება ჩვენი ცხოვრების ერთი მშვენიერი ეტაპი და ჩვენც, ასევე, გაგვაჩნია ერთგვარი პასუხისმგებლობა მათ წინაშე; ამიტომ, სწავლასთან ერთად, აუცილებელია ურთიერთობა გქონდეს, რაც შეიძლება მეტ ადამიანთან; კონტაქტები საჭიროა წარმატებისთვის – საზოგადოებასთან ურთიერთობა ხელს უწყობს პიროვნებად ჩამოყალიბებას, რაც გვეხმარება უკეთესი მიმართულების არჩევაში ცხოვრების გზაჯვარედინზე... ასეთი გზაჯვარედინები კი ყოველი ფეხის ნაბიჯზეა, რაც განსაზღვრავს მომდევნოს და, საბოლოოდ, აყალიბებს კიდეც ჩვენს მომავალს.

რაც შეეხება სწორ არჩევანს, ამ ეტაპისთვის უმთავრეს საკითხს, ნამდვილად არ არის ადვილი საქმე. სამწუხაროდ, აბიტურიენტების დიდი ნაწილი არჩევანს პროფესიის პრესტიჟულობის მიხედვით აკეთებს; მშობლებიც კი ხშირად ამის მიხედვით არჩევენ პროფესიას შვილებისთვის, თუმცა პროფესიის დაუფლებისთვის ხშირად გვიწევს ბევრი ისეთი დისციპლინის შესწავლა, რომელიც აქამდე ყველაზე ნაკლებად მოგვწონდა; ვიცნობ ისეთ ხალხს, რომლებსაც, ვთქვათ, უნდოდათ ფარმაცევტობა, მაგრამ არ უნდოდათ ქიმიის, ფიზიოლოგიის, ფარმაკოლოგიის სწავლა. ასეთი რამ რომ არ დაგვემართოს, საჭიროა წინასწარ ცოტა მეტად გავისარჯოთ და გავეცნოთ სასწავლო პროგრამას, ამის შემდეგ კარგი იქნება პროფესიული კონსულტაციაც კომპეტენტურ პირებთან.

**შალვა ცარციძე,**
**ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტი**

# შენ ხარ კაპიტანი...

სკოლის დამთავრების შემდეგ იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი, რომელსაც გადახედავ და მოგეჩვენება, რომ ეს არის უძირო და უსაზღვრო ოკეანე, რომელშიც პატარა ნავით უნდა შეცურო. ეს ოკეანე მოულოდნელობებით არის აღსავსე, არ იცი, როდის რა სიურპრიზს მოგიმზადებს, ხან ზურგის ქარს გამოგიგზავნის, ხან პატარა ტალღა თავს გადაგევლება, მოგეპარება და ჩუმად, ზუზუნით ჩაგძახებს: „ჯერ სად ხარ“... მერე ისევ გამოიდარებს და, რომ გგონია გზის პატარა მონაკვეთი გაიარე, უცბად ცუნამი დაგატყდება თავს და ისევ შეიძლება იმავე ნაპირზე აღმოჩნდე, მაგრამ არ უნდა შეგეშინდეს, არ დანებდე ამ უძირო და უკიდეგანო ოკეანეს; შეიძლება გემადაც აქციო, თანამგზავრებიც დაგემატება. უკვე მარტო აღარ ხარ და გუნდურად, მეგობრულად და სიყვარულით ცდილობ დასახულ მიზნამდე ერთად მიხვიდეთ. შენ ხარ კაპიტანი, რომელიც მართავ ამ უზარმაზარ გემსა თუ ნავს; ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, შენი სიტყვა ხდება გადამწყვეტი, ოკეანეც მხარში გიდგას, მშვიდდება, წყნარდება, უკვე შეგეჩვია და შეუყვარდი; ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდება დანიშნულების პუნქტი და უკვე განშორების დღე დგება... ძალიან გიჭირს განშორება. მთელი ამ დროის მანძილზე ყველაფერი ეს შეგისისხლხორცდა, შენია, არ გინდა მასთან განშორება, ოკეანესაც უჭირს, მაგრამ უკვე დროა... ხმელეთის! ხმელეთის, რომელზეც უკვე საჭიროა ზურგჩანთით და საკუთარი ფეხით შენი ევერესტის, ანუ შენი მიზნის მწვერვალისკენ დაიწყო სვლა... 12 კლასის დამთავრების შემდეგ, ზუსტად ასე აღმოვჩნდი ერთ-ერთ სანაპიროზე. ავიღე ჩემი პატარა ნავუკა და შევუდექი სწავლას. თავიდან ყველაფერი ადვილი მეჩვენებოდა, შემდეგ ნელ-ნელა გართულდა... ბევრი წინააღმდეგობა, დაბრკოლება და გულისტკენა ვნახე, მაგრამ სწავლით, ჩემი პროფესიის სიყვარულითა და მოთმინებით ყველაფერი ადვილად „გადავაგორე“. დროთა განმავლობაში ყველაფერი დამავიწყდა და ახლა მხოლოდ კარგი თუ მახსენდება.



ბევრი და საყვარელი ადამიანი გავიცანი, რომლებთანაც ჩემი სიცოცხლის ძაფები გადაება და უკვე ერთ ნავში ვსხედვართ _ ზოგი საჭესთანაა, ზოგი ნიჩაბს უსვამს, ზოგი ქარის მიმართულებას აკვირდება, ზოგიც საჭმელს ამზადებს, მაგრამ ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ერთად ვებრძვით ამ უზარმაზარ ტალღებს. ერთმანეთის ფასი, მოფრთხილება და სიყვარული ვისწავლეთ. ზოგმა ვერ გაუძლო ნავში ჯდომას და თავისივე სურვილით ან გადახტა, ან სხვა ნავში გადაჯდა, ზოგიც – სანაპიროზევე დარჩა... 4 წელი გავიდა... ოკეანესთან, კუნძულებთან, მეჩეჩებთან, მარჯნებთან და თევზებთან განშორება ძალიან მიჭირს... ახლა დროა წყალს მოვშორდე და უკვე აღმართზე დავიწყო სვლა. მხოლოდ შენზეა დამოკიდებული თუ რას აირჩევ! ის საქმე, რომელსაც ხელს მოკიდებ, უნდა შეიყვარო და მოეფერო, მით უმეტეს, ექიმობა ძალიან რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა, რომელიც დიდი ძალისხმევით, მოთმინებით, პატივისცემით, სიკეთითა და სიყვარულით საზრდოობს.

**სოფიო თავხელიძე,**
**ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული**

# ეცადეთ იყოთ თვითგანახლებადი



პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა!

იყო თსსუ-ის სტუდენტი – საპატიოა, ამავდროულად, იგი თითოეულ ჩვენგანს გვაკისრებს დიდ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე უფრო და უფრო გაიზრდება და ჩვენი არსებობის აზრი გახდება. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრება სრულიად განსხვავებულია, რადგან აქ ყალიბდება მომავალი მკურნალი, ადამიანი, რომელსაც საკუთარ სიცოცხლეს ანდობენ.

როგორც დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა, მინდა რამდენიმე მეგობრული რჩევა მოგცეთ: პირველ რიგში, მაქსიმალურად **ეცადეთ იყოთ თვითგანახლებადი,** არ დაჯერდეთ შემოთავაზებულს და ყოველთვის ეძიეთ უკეთესი და ახალი.

სტუდენტობის წლებში გეძლევათ საშუალება, **მოახდინოთ აკადემიური ცოდნის მაქსიმალური კონცენტრირება**. პირველი 3-4 კურსის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ თეორიული ცოდნა დააგროვეთ. დამიჯერეთ, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც შესაძლებელია, ხოლო თეორიულ ცოდნაში არსებული ნაპრალების შევსება – თითქმის შეუძლებელი.

არ შემიძლია არ აღვნიშნო თსსუ-ის და უცხოური უნივერსიტეტების ურთიერთობის შესახებ, რაც გაძლევთ არაჩვეულებრივ საშუალებას გაიაროთ სხვადასხვა ტიპის სტაჟირება თუ პრაქტიკული კურსი უცხოეთის პრესტიჟულ უმაღლეს სამედიცინო სკოლებსა და საუნივერსიტეტო კლინიკებში. **განსაკუთრებით, გერმანული ენის მცოდნეთათვის** მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველწლიურად 20-30 სტუდენტი გადის სასწავლო კურსს გერმანიასა და ავსტრიაში. ინგლისურენოვანი სექტორისთვის კი არჩევანი ერთი და აშკარაა: ჩემი პერსონალური რჩევა იქნება: **II კურსიდან დაიწყოთ მომზადება ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდებისთვის** (The United States Medical Licensing Examination (USMLE), რომელთა წარმატებით ჩაბარების შემდეგ, უფლება გეძლევათ, გაიაროთ პოსტდიპლომური ტრეინინგი (რეზიდენტურა) ამერიკულ სარეზიდენტურო პროგრამებში.

ჩემი მთავარი გზავნილი მდგომარეობს შემდეგში: **მაქსიმალური ენერგია ჩადეთ განათლებაში**, რათა მომავალში წარმატებული ნაბიჯები გადადგათ და არ იყოთ ვინმეს „კეთილ ნებაზე“ დამოკიდებულნი.

***პ.ს.*** *სტუდენტური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტიც არ გამომრჩენია გართობა, ბევრ ადამიანთან ურთიერთობა, სხვადასხვა აქტივობა და ა.შ., ცხოვრების ამ პერიოდის ესენციური ნაწილია.*

*გისურვებთ წარმატებებს!!!*

***Live as if you were to die tomorrow.***
***Learn as if you were to live forever.***

**ბექა ბახტაძე,**
**მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი**

# გიყვარდეთ ადამიანი



ჩვენო მომავალო კოლეგებო, ეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ ყველას, ვინც ამას საჭიროებს; აუცილებლად გიყვარდეთ საქმე, რომელსაც ემსახურებით; მიიღეთ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა; იყავით მუდამ ახლის ძიებაში, მიზანმიმართულად გაანაწილეთ დრო და გქონდეთ საკუთარი თავის რწმენა; თუ შრომისმოყვარეობითა და რწმენით მოეკიდებით საქმეს, დაუძლეველი არაფერია.

პირველკურსელი რომ ვიყო, თითქმის არაფერს შევცვლიდი, გარდა იმისა, რომ დროს უფრო მაქსიმალურად გამოვიყენებდი პროფესიული დონის ასამაღლებლად.

**ლიკა ნესოშვილი,**
**ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტი**

# დიდ სამედიცინო ოჯახში



ძვირფასო პირველკურსელებო, გილოცავთ სტუდენტობას!

თქვენ უკვე პირველი ნაბიჯი გადადგით და შემოაბიჯეთ ჩვენს დიდ სამედიცინო ოჯახში.

პირადად უკვე მე–5 წელია ამ დიდი ოჯახის წევრი ვარ და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ისევე გეყვარებათ მომავალი პროფესია, როგორც მე და ყველა ჩვენს უფროს კოლეგას. სულ რაღაც ხუთ წელიწადს დაჰყოფთ ამ უძველესი უნივერსიტეტის კედლებში, ეს წლები ზოგს საუკუნედ მოეჩვენება, მაგრამ, დამერწმუნეთ, დრო თვალის დახამხამებაში გარბის და უკვე პირველი პაციენტების წინაშე აღმოჩნდებით.

უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი რესურსი აქვს (კლინიკური ბაზების, კვალიფიციური პროფესორ–მასწავლებლების სახით), რომ თითოეული თქვენგანისგან სრულყოფილი დიპლომირებული სტომატოლოგი გამოვიდეს, ამიტომ გირჩევთ, არცერთი წამი არ დაკარგოთ, რათა მომავალში ერთად გადავჭრათ თანამედროვე სტომატოლოგიაში არსებული აქტუალური პრობლემები.

გზა დასახული მიზნის მისაღწევად იავარდით მოფენილი არ არის, მაგრამ შრომითა და მონდომებით ყველაფერს გაუმკლავდებით და მიაღწევთ!

როგორც მედიცინის ყველა დარგში, ჩვენთანაც, სწორი დიაგნოზის დასმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაზეც ძველი რომაული გამონათქვამიც მიგვანიშნებს: **„ვინც კარგად სვამს დიაგნოზს, კარგადაც მკურნალობს!“**

გისურვებთ წარმატებებს ცხოვრებისეულ ასპარეზზე!

**ცისია ვარაზაშვილი,**
**სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი**

# პროფესიონალ ფარმაცევტებად რომ ჩამოყალიბდეთ



მივესალმები და სტუდენტობას მივულოცავ პირველკურსელებს. უპირველესად, ვეტყვი მათ, რომ მთავარია არჩეული პროფესიის სიყვარული და ჯანსაღი ამბიცია იმ თვალსაზრისით, რომ მეტი ისწავლოთ – ისწავლეთ თეორია იმისთვის, რომ შეძლოთ მისი პრაქტიკაში გამოყენება; დასვით ბევრი შეკითხვა, ყურადღებით მოუსმინეთ პასუხებს და დაიმახსოვრეთ. ეს თქვენი ცოდნის დონეს აამაღლებს და ხელს შეგიწყობთ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში. სწავლა კი, მერწმუნეთ, აუცილებლად დაგიფასდებათ, რადგან დღეს, შეიძლება ითქვას, პროფესიონალ ფარმაცევტთა დეფიციტია. ვიტყოდი, რომ მომავალი ფარმაცევტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობის შესატყვის ბაზებს; ასევე, აუცილებელია უცხო ენის შესწავლისთვის საუკეთესო პირობების შექმნაც, რადგან საჭირო თანამედროვე ლიტერატურა ძირითადად უცხოენოვანია და მშობლიურ ენაზე ნაკლებად ხელმისაწვდომი. აღნიშნული ეხება მაგისტრატურის ორივე კურსს. საუნივერსიტეტო ბაზების მოწესრიგების თვალსაზრისით ბევრი რამ მოსაგვარებელია – მომავალი ფარმაცევტები უკეთეს პირობებს იმსახურებენ. ფარმაცევტულმა კომპანიებმა კი მეტი ყურადღება გამოიჩინონ სპეციალისტების, მომავალი კადრების დასაქმების კუთხით.

**ალექსანდრე ცერცვაძე,**
**ფარმაცევტული ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებული**

*50 წლიანი ღვაწლის აღსანიშნავად*

# სიყვარულის და საქმის ერთგული ქალბატონი...

**„ქალბატონი ნანა ჩვენი ეტალონია, გადაშლილი სამახსოვრო წიგნია, ინფორმაციის წყაროა, ფანტასტიკური პიროვნებაა, თბილი, კომუნიკაბელური, დაუზარელი, დიდსულოვანი, მოწესრიგებული, განუმეორებელი მახსოვრობითა და გარეგნული ხიბლით, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით... მას არა მარტო ჩვენი ქვეყნის ექიმთა ფართო საზოგადოება, არამედ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ექიმებიც იცნობენ, რომელთა უმრავლესობა დღესაც ურთიერთობს მასთან, ამიტომაც აქ გადმოსვლისას (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში) შევინარჩუნეთ ჩვენი ძველი სატელეფონო ნომრებიც, რომ მათ არ შექმნოდათ პრობლემა ქალბატონ ნანასთან დასაკავშირებლად,** – მეუბნება ჩვენი უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ზაზა ბოხუა** ამავე ინსტიტუტის რეგისტრის ცენტრის მთავარ სპეციალისტზე, ქალბატონ **ნანა კალანდაძეზე.**

ბატონ ზაზას მასთან საქმიანმა ურთიერთობამ 1992 წლიდან მოუწია, როცა საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის (ასე იწოდებოდა მაშინ) მეან-გინეკოლოგიის №2 კათედრაზე ასისტენტად დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ ერთად საქმიანობის 20 წელი გავიდა... ქალბატონ ნანას კი ერთსა და იმავე სამსახურში მოღვაწეობიდან 50 წელი, ნახევარი საუკუნე, შესრულებია, რის შესახებაც ბატონმა ზაზამ მამცნო და მთხოვა მისი საჩინო ღვაწლის შესახებ მომეთხრო ჩვენი მკითხველისთვის...

ჩვენი ნაცნობობა მაშინ შედგა, როცა მას სასაუბროდ ვეწვიე... ოთახში ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონი მაგიდასთან იჯდა და ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. ეს არ იქნება, გავიფიქრე და მისალმების შემდეგ ქალბატონი ნანა ვიკითხე. „მე გახლავართ, – იყო პასუხი. მოულოდნელობამ დამაბნია... შეკითხვა გავუმეორე, რადგან, ჩემი წარმოდგენით, 50 წლის მუშაობის სტაჟის მქონე რესპონდენტი ხანდაზმული უნდა ყოფილიყო... მიმიხვდა, გამიღიმა, რამაც ხიბლი გაუორმაგა, მარდად წამოდგა და მიმიწვია... უცბად გავშინაურდი, ბევრი ვისაუბრეთ...

ქალაქ ბათუმში დაბადებულა და აქვე დაუმთავრებია რკინიგზის საშუალო სკოლის 11 კლასი. სტომატოლოგობა ეწადა, ამიტომ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე. საწადელის ასახდენად ერთი ქულა დააკლდა, მარცხმა ხელი ჩააქნევინა და მომდევნო წელს ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სტუდენტური წლების დამთავრების შემდეგ, 1962 წლის 22 მაისს, მუშაობას იწყებს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში კადრების ინსპექტორის თანამდებობაზე და ამ დღიდან მოყოლებული სხვადასხვა თანამდებობაზეა: 1969-78 წლებში უფროსი ინსპექტორია; 1978-2000 წლებში – სასწავლო განყოფილების უფროსი; 2000-2004 წლებში – გადასამზადებელი კონტიგენტისა და რეგისტრის განყოფილების უფროსი; 2006 წლიდან – რეგისტრის ცენტრის მთავარი სპეციალისტი. განუყოფელი გახდა ამ დაწესებულებისთვის მაშინაც კი, როცა მისი ინტეგრაცია მოხდა ჩვენს უნივერსიტეტთან. მაგრამ ქალბატონი ნანას საქმიანობა მარტო ამ დაწესებულებით როდი შემოიფარგლებოდა. მას, საქმიანობის დაწყებისთანავე, პარალელურად დაევალა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო განათლების განყოფილებაში, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მომუშავე თითოეულ ექიმზე სპეციალობების მიხედვით კართოტეკების შედგენა. **„ეს კი იოლი როდი იყო. გვქონდა დანაყოფებიანი კარადა, სადაც, რაიონების მიხედვით, ჩამწკრივებული გვქონდა ანკეტები, რომლითაც ვახდენდით დახელოვნების კურსებზე ექიმთა გამოძახებას კვალიფიკაციის ასამაღლებლად“,** – მიყვება ქალბატონი ნანა და პარალელს ავლებს წარსულსა და დღევანდელობას შორის. ბევრი რამ აქვს მოსაგონარი: ექიმებს, კვალიფიკაციის გავლის პერიოდში, სტიპენდია ეძლეოდათ, უხდიდნენ სამგზავრო თანხას. ჰქონდათ 40 კათედრა. კვალიფიკაციის უკეთ ასამაღლებლად ექიმებს აგზავნიდნენ მოსკოვში, ლენინგრადში, ყაზანში, ხარკოვში...



ქალბატონი ნანა ბედნიერია იმით, რომ მოღვაწეობა უხდებოდა ისეთ დიდებულ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ: ცნობილი ქირურგი, პროფესორი **გიორგი ხუნდაძე,** რომლის დირექტორობის დროს დაიწყო საქმიანობა და გაგრძელდა 25 წლის მანძილზე; პროფესორები: **სიმონ ხეჩინაშვილი, ზაალ კახიანი, პეტრე შოთაძე** (მართალია ცოტა ხნით, მაგრამ კეთილად მოსაგონარი და დასამახსოვრებელი), **ირაკლი ფავლენიშვილი, რომან შაქარიშვილი, გიორგი მენაბდე.**

ქალბატონ ნანას მეხსიერებაში მთელი ისტორიაა მისხალ-მისხალ შემორჩენილი იმ გზისა, რაც ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტმა გაიარა დაარსებიდან დღემდე... იგონებს იმ წლებს, როცა ეს ინსტიტუტი ყოფილი საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში იყო. აქ გადიოდნენ დახელოვნების კურსს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან მოვლინებული ექიმები, რომელთა რაოდენობა 1000-ზე მეტი იყო. სწორედ ამ პერიოდში, 1977 წელს, საკავშირო ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, ქალბატონი ნანა დაჯილდოვდა „ჯანდაცვის ფრიადოსნის ნიშნით, ხოლო 1986 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის წოდება მიანიჭა. ამაგდარი ქალბატონი ჰყვება იმაზეც თუ როგორ გააოცა მის მიერ შედგენილმა ექიმ-მსმენელთა სარეგისტრაციო ჟურნალმა მინსკის დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი **ვლადიმერ რუცკი.** მას სტუმარმა ნიმუშად სთხოვა ეს ჟურნალი. მასპინძელმა თხოვნა შეუსრულა, თავად თარგმნა რუსულ ენაზე და გადასცა უკრაინელ პროფესორს. ასევე, მოსკოვის საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს სასწავლებლების მთავარმა სამმართველომ ითხოვა ქალბატონ ნანას მიერ შედგენილი სასწავლო-საწარმოო გეგმა, რომელშიც ასახული იყო კათედრებზე მსმენელთა დატვირთვა.

ერთსა და იმავე დაწესებულებაში 50 წელი იღვაწო ადამიანმა, ნიშნავს განუზომელ სიყვარულს, ერთგულებას, თავდადებას საქმისა და გარშემომყოფებისადმი, რისი მაგალითიც ქალბატონი ნანა კალანდაძეა. ჩემს შეკითხვაზე – ამ გადასახედიდან ხელახლა რომ იწყებდეს საქმიანობას, ისევ ამ გზას აირჩევდა? – მიპასუხა: **„არც დავფიქრდებოდი. მქონდა შემოთავაზებები მე-4 სამმართველოდან, ცენტრალური კომიტეტიდან, სადაც ანაზღაურება ბევრად მეტი იყო, მაგრამ უარი ვთქვი. მიყვარდება ერთადერთხელ, ეს ეხება როგორც ჩემს სამსახურს, ისე პიროვნებას და ამ სიყვარულის ერთგული ვრჩები ბოლომდე. ასე იყო ჩემი მეუღლის შემთხვევაშიც. მისმა გარდაცვალებამ დიდი დაღი დამასვა... მისი ერთგული დავრჩი ბოლომდე,** – მეუბნება ჩემი რესპონდენტი. იგი არნახული მეხსიერების მქონეა. ახსოვს ყველა ექიმის სახელი და გვარი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ვისთანაც შეხება ჰქონია. ცოცხალი კომპიუტერია, ხელით აქვს დაწერილი და კარადებში ჩამწკრივებული ის, რაც კომპიუტერულ პროგრამაშია. **„კომპიუტერი მეცნიერების უდიდესი მიღწევაა, საოცარი რამ არის, მაგრამ არ ვენდობი, ამიტომაც ვწერ ხელით ყველაფერს, ეს არ წაიშლება“,** – ღიმილით აღნიშნავს იგი.

ძალიან უყვარს კლასიკური მუსიკა და კლასიკური ჩაცმა; ილია ჭავჭავაძეა მისი ცხოვრებისა და საქმიანობის კრედო...

ქალბატონ ნანასთან საუბრის შემდეგ დავასკვენი, რომ არაფერი ზედმეტი, მხოლოდ სრული ჭეშმარიტება იყო იმ სიტყვებში, რომლითაც შეაფასა იგი პროფესორმა ზაზა ბოხუამ.

**ქალბატონო ნანა, გულწრფელად გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. ამ სილამაზით, ამ ენერგიით კიდევ მრავალი წელი გეღვაწოთ!**

**დალი გაბეშია**

*თეატრი*

# „ჰიგია“ 10 წლისაა

10 წლის წინ, 2001 წელს, სამედიცინო უნივერსიტეტში დაიბადა იდეა, შეიკრიბნენ თეატრის თაყვანისმცემელი, შემოქმედი ადამიანები და დაარსდა თეატრი „ჰიგია“. თეატრის დამაარსებელი და რეჟისორი ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, დღეს – ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის ასისტენტ-პროფესორი **ნათია გუჯაბიძეა,** რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობიდანვე იქცევდა ყურადღებას აქტიური ჩართულობით სტუდენტურ ღონისძიებებში, თეატრალურ წარმოდგენებში.

არსებობის არცთუ ხანგრძლივი, ათწლიანი ისტორიის მანძილზე, დასმა არაერთი სპექტაკლით გაახარა მაყურებელი.

აღსანიშნავია „ჰიგიას“ წარმატებული საგასტროლო ტურნეები 2004 წ – თურქეთის ქ. დენიზლის მე-2 საერთაშორისო ფესტივალზე; 2005 წ. – ფესტივალ „GIFT“-ზე; 2011 წელს დასი „სტუდენტური დღეები-2011-ის“ გამარჯვებული გახდა.

ახლახან კი თსსუ-ის წითელ დარბაზში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მაყურებლები შეიკრიბნენ – თეატრმა „ჰიგიამ“ დაარსებიდან 10 წლის იუბილე აღნიშნა.

საღამოს წამყვანებმა, მაყურებლისთვის კარგად ცნობილმა და საყვარელმა მსახიობებმა **თამუნა ნიკოლაძემ** და **პოლიკა კუბლაშვილმა** საზოგადოებას გაახსენეს




„ჰიგიას“ განვლილი გზა – მისი პირველი ნაბიჯებიდან დღემდე...

საიუბილეო ღონისძიებაზე რეჟისორის და მსახიობების მიმართ თბილი სიტყვები არ დაიშურეს გამომსვლელებმა, ადამიანებმა, ვინც თეატრის დაარსების სათავეებთან იდგნენ: პროფესორმა **ალეკო ციბაძემ,** სამედიცინო კოლეჯის ყოფილმა დირექტორმა, გაიხსენა ნათიას გამორჩეული სტუდენტობა ჯერ კიდევ სამედიცინო კოლეჯში სწავლის პერიოდიდან, როცა იგი სწავლას შესანიშნავად უთავსებდა შემოქმედებით საქმიანობას. სწორედ იმ წლებში ჩაეყარა საფუძველი თეატრის შექმნის იდეას, რაც 2001 წელს რეალობად იქცა.

„ჯერ არ ვიცით რამდენი მოიგო ნათიას ექიმობით ქართულმა მედიცინამ, მაგრამ ქართულმა თეატრმა რომ ბევრი დაკარგა, უდავოა“, – აღნიშნა **გიორგი ჭიჭინაძემ,** ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორმა.

დასის I თაობის მსახიობმა, **სალომე ვორონოვამ,** საკუთარი აქტიორული დებიუტი და წარმატებული როლები გაიხსენა და წარმატებები უსურვა თეატრს სამომავლოდ.

„საუკეთესო მეგობარი, მეუღლე, შვილი, ექიმი, პედაგოგი, რეჟისორი, მსახიობი“, – ასე შეფასდა თეატრის რეჟისორის პროფესიული და ადამიანური ღირსებები საღამოზე.

საღამოს ალამაზებდა ნაწყვეტები დასის მიერ სხვადასხვა დროს დადგმული სპექტაკლებიდან – მაყურებლის ოვაციების თანხლებით.



თეატრის რეჟისორმა, **ნათია გუჯაბიძემ,** საიუბილეო საღამოზე აღნიშნა: **„ამ ათი წლის მანძილზე დასი, როგორც ერთი ოჯახი, ისე ცხოვრობდა. დასის მსახიობები კი, უდავოდ, აქტიორული ნიჭით და არაერთი ღირსებით გამოირჩევიან. სხვანაირად არც შეიძლება – ისინი ხომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, მომავალი ექიმები არიან, ჩვენ კი, ყველანი ერთად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ამ დიდი ოჯახის წევრები ვართ“.** დასასრულ, მან მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ყველა იმ ადამიანს, ვისი წვლილიც დიდია თეატრის დაარსებაში, ვინც ამ 10 წლის მანძილზე სიტყვით, საქმით, რეალური თანადგომით ეხმარებოდა თეატრს...

თეატრ „ჰიგიაში“ უკვე მეოთხე თაობაა, რომელიც წარმატებით აგრძელებს წლების წინ დაწყებულ დიდ საქმეს... თეატრი კვლავ ელის არტისტიზმით და აქტიორული ნიჭით გამორჩეულ ახალგაზრდებს. უნივერსიტეტი ხომ არა მარტო მომავალ ექიმებს, არამედ შემოქმედ ახალგაზრდებსაც უკვალავს გზას...

წარმატებებს ვუსურვებთ დასს მომავალშიც. დარწმუნებულნი ვართ, კვლავ არაერთი პრემიერით გაახარებს მაყურებელს.

**ნატო ბოლქვაძე**

## ჩვენი კურსდამთავრებული

**– „ჩემი ექიმი მოვა?“ – კითხულობდა ყოველ სისხამ დილით სარეცელს მიჯაჭვული, სიკვდილ-სიცოცხლის გზასაყართან მდგარი, შუახანს გადაცილებული, მაგრამ გარეგნულად ბრგე, ახალგაზრდა მამაკაცი და თხოვნით სავსე თვალებს მიაპყრობდა მეუღლესა და ქალიშვილებს, რომლებიც წუთითაც არ შორდებოდნენ მომაკვდავს... და ხვიჩა ექიმიც ორი თვის მანძილზე, ვიდრე ავადმყოფის აღსასრულამდე, მიდიოდა მასთან, მხოლოდ იგი უდგამდა კათეტერს უმტკივნეულოდ პაციენტს და ექიმის შარბათიანი ენაც მალამოდ ედებოდა მთელ სხეულზე, სიცოცხლის იმედით ავსებდა, ორიოდე ლუკმასაც გადააყლაპვინებდა და მომდევნო დღის გათენებას ისევ ხვიჩა ექიმთან შეხვედრის იმედით ელოდებოდა...**

**ავადმყოფმა იგრძნო აღსასრულის მოახლოება. „უკანასკნელი თხოვნა შემისრულე, ნუ მიმატოვებ სიკვდილის წინ, რადგან უფრო გამიადვილდება მასთან შეხვედრა“, – შეევედრა ექიმს, თუმცა მკურნალი თვითონაც არ აპირებდა პაციენტის მიტოვებას... ცოლ-შვილთანაც ჰქონდა სათხოვარი: „ხვიჩა ექიმზე დააწერინეთ მე რომ მიყვარს იმ გაზეთში, სამედიცინო უნივერსიტეტს მადლობა მინდა გადავუხადო ასეთი ღვთისნიერი ექიმის აღზრდისთვის. ხომ შემისრულებთ ამ თხოვნას, ეს ჩემი ანდერძია თქვენთვის დატოვებული“, – ძლივს ამოილუღლუღა... მას მხოლოდ ორი საათი ჰქონდა დარჩენილი ამქვეყნიდან გასასვლელად...**

მამის ამ უკანასკნელი სურვილის შესასრულებლად გვესტუმრა მისი ერთ-ერთი ქალიშვილი. აწგანსვენებული თურმე ჩვენი გაზეთის მკითხველი ყოფილა და სწორედ აქ ითხოვდა თავისი სამადლობელი წერილის გამოქვეყნებას. „ხვიჩა ექიმს მარტო მამაჩემი კი არა მრავლად ჰყავს მადლიერი ჩვენს რაიონში, ამიტომ არავის გაუკვირდება მის მიმართ საქებარი სიტყვები, პირიქით, ძალზე გაუხარდებათ“, – მითხრა გოგონამ.

გოგონასთან საუბრის შემდეგ ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა სამედიცინო ინსტიტუტის 1988 წლის მისაღები გამოცდები. ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი **არჩილ ასათიანი** და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ქიმიაში (სამწუხაროდ გვარი არ მახსოვს, მოწვეული იყო) გააოცა ერთ-ერთი აბიტურიენტის ნაშრომმა. დაუჯერებლად მიიჩნიეს აბიტურიენტისგან ასეთ მაღალ დონეზე პასუხის გაცემა საგამოცდო საკითხებზე (თუმცა ამ აბიტურიენტს წინა ორი გამოცდა „ფრიადებზე“ ჰქონდა ჩაბარებული), განსაკუთრებით ამოცანის ამოხსნის მეთოდმა გააოგნა ისინი, ეჭვი მიიტანეს მის მიერ „შპარგალკის“ გამოყენებაში და სასწრაფოდ გამოიძახეს გადასამოწმებლად. თავად გახლდით ყოველივეს თვითმხილველი. აუღელვებლად, მშვიდად შემოვიდა ცისფერთვალება, ლამაზი,

# საქმე – „გულმხურვალობით გამთბარი, გულმოდგინებით წარმართული“...



მაღალი ჭაბუკი. იგი ხელმეორედ დასვეს საგამოცდო მაგიდასთან და სთხოვეს ახლა ზეპირად (გამოცდა წერით ბარდებოდა) ეპასუხა იმ საკითხებისთვის, რაც დაწერა, ამოეხსნა ამოცანაც. აბიტურიენტს მიზეზი არც უკითხავს, სხაპასხუპით ჩამოაყალიბა ყველა საკითხი, წუთებში ამოხსნა ამოცანა... არასოდეს დამავიწყდება ბატონი არჩილის სიხარულისგან გაბრწყინებული სახე... აღმოჩენაა, – თქვა მან და ამის შესახებ საუბრობდა ყველგან: რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, ლექციებზე... სწორედ ეს აბიტურიენტი გახლდათ **ელიზბარ (ხვიჩა) ახვლედიანი**, ექიმი ქირურგი, რომელზედაც ახლა უნდა მოგითხროთ: მშობლიურ რაიონში მას ხვიჩას ეძახიან... დაიბადა 1969 წლის 20 ნოემბერს გეგეჭკორის რაიონში (ახლანდელი მარტვილი). ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. მე-8 კლასში იყო, როცა ექიმობა გადაწყვიტა, ეს მშობლების და ბებიის, რომელიც რაიონულ საავადმყოფოში ექთანად მუშაობდა, სურვილიც იყო. 1986 წელს დაამთავრა გეგეჭკორის №1 საშუალო სკოლა და 2 წლის მანძილზე სანიტრად მუშაობდა რაიონულ საავადმყოფოში, პარალელურად ემზადებოდა სამედიცინო ინსტიტუტში ჩასაბარებელ საგამოცდო საგნებში.

1988 წელს ხვიჩამ მიზანს მიაღწია. ჩაირიცხა პედიატრიულ ფაკულტეტზე. **„სტუდენტური წლები ყველაზე კარგი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. მყავდა ძალიან კარგი ჯგუფელები, კურსელები, ერთმანეთს ვაფასებდით, უმრავლესობა კარგად ვსწავლობდით“,** – მეუბნება ხვიჩა, მაგრამ აქვს ცუდი მოსაგონარიც... მისი სტუდენტობის პერიოდს დაემთხვა ჩვენი ქვეყნის ავ-ბედითი ისტორია –სამოქალაქო ომი, რაც სასწავლო პროცესსაც დაეტყო. მაშინ მე-4 კურსზე იყო... გადაწყვიტა თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გაეღრმავებინა, ამიტომ ექთნად დაიწყო მუშაობა ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში, მორიგეობდა ღამითაც.

1994 წელს დამთავრდა სტუდენტური წლები და ამ გადასახედიდან ხვიჩას მიაჩნია, რომ სასწავლო პროცესში ზედმეტი იყო რამდენიმე საგანი, მხედველობაში აქვს სკკპ ისტორია და მისი მონათესავე დისციპლინები. ძალიან დატვირთული იყო პირველი სემესტრი უმაღლესი მათემატიკით, ფიზიკით, განსაკუთრებით – არაორგანული ქიმიით, რომელთა პროგრამა დასახვეწი და ექიმის პროფესიასთან შესაბამისობაში იყო მოსაყვანი, რაც მისი სტუდენტობის შემდეგ განხორციელდა კიდეც, რასაც დადებით მოვლენად მიიჩნევს.

დიდ მადლიერებას გამოხატავს პედაგოგების, ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრის პროფესორების **ზურაბ კაციტაძისა** და **რამაზ ხეცურიანის**, ჯგუფის ასისტენტის – **ნანა შვანგირაძის**, პათფიზიოლოგიის, ფარმაკოლოგიის, ფიზიოლოგიის კათედრების პედაგოგიური პერსონალის მიმართ. თავის პროფესიულ დახელოვნებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სუბორდინაციის კურსს პროფესორ **რამაზ კუტუბიძის** ხელმძღვანელობით და ინტერნატურას ბავშვთა ქირურგიაში, რომელიც 1994-95 წლებში გაიარა ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ზოგადი ქირურგიის განყოფილებაში, სადაც მოღვაწეობდნენ ბრწყინვალე ქირურგები: **ზვიად ბულისკერია, ლევან ფერაძე, მალხაზ კარტოზია და სხვები. „მათი ძალიან მადლიერი ვარ, დღესაც ვმეგობრობ ჩემს მასწავლებლებთან და უფროს კოლეგებთან“,** – აღნიშნავს ხვიჩა ექიმი. იგი 1997 წლიდან მუშაობს ექიმ-ქირურგად მშობლიური რაიონის საავადმყოფოში. პარალელურად, 2000 წლიდან, შეთავსებული აქვს ქირურგიული რაზიოლოგიაც. ამ სფეროში განსაკუთრებული შემთხვევები, რამდენადაც გასაკვირიც იყოს, უკავშირდება არა ძაღლის, არამედ ღორის დაკბენებს (იყო ჩვილი ბავშვის დაკბენის შემთხვევაც), რომელიც გამოირჩეოდა დაზიანებით როგორც სახის, ასევე, გენიტალიებისა და ქვემო კიდურების არეში. ყოველთვის ადგილი ჰქონდა კანისა და რბილი ქსოვილების დაზიანებას, დეფექტებს, რომელიც მოგვიანებით საჭიროებდა პლასტიკური ოპერაციების ჩატარებას. ხვიჩა ექიმს, როცა ამ პროფესიას ირჩევდა, ბევრი რამ იდეალურად წარმოედგინა, მაგრამ სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა... თუმცა ახლა პროფესიის არჩევა რომ უწევდეს, ისევ ექიმობას აირჩევდა...

**– 17 წელია, რაც ამ მეტად რთულ დარგში საქმიანობთ. ამ ხნის მანძილზე რა იყო თქვენთვის ყველაზე დიდი სიხარული და პირიქით – ყველაზე დიდი ტკივილი? – ვეკითხები ბატონ ხვიჩას.**

– ყველაზე დიდი სიხარული უკავშირდება 1996 წელს ჩვენს სტაციონარში უმძიმესი ჭრილობებით შემოყვანილი პაციენტის – ლაშა დანელიას გადარჩენას. ჭრილობები ჭურვის აფეთქების შედეგად ჰქონდა მიღებული. აღენიშნებოდა გულის არეში გამჭოლი ჭრილობა, წვრილი და მსხვილი ნაწლავების მრავლობითი დაზიანება. მთელი ქირურგიული განყოფილება ვიბრძოდით მის გადასარჩენად... გავიმარჯვეთ, რაც მაშინდელ პირობებში მართლაც სასწაული იყო. ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი ისევ ამ პაციენტთანაა დაკავშირებული, როცა იგი, ერთი წლის შემდეგ, ეკლესიის ეზოში საქმიანობის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა.

ბატონ ხვიჩას აქვს ჰობი, ეს ავტოსპორტია, კოლექციონერია ამ სპორტის შესახებ გამომავალი ჟურნალების; მისი საყვარელი მწერალი **კონსტანტინე გამსახურდიაა**, საყვარელი წიგნი – **„დიდოსტატის მარჯვენა“**; საყვარელი პოეტი – **გალაკტიონ ტაბიძე**; საზღვარგარეთ, მეუღლესთან ერთად, მხოლოდ უკრაინასა და რუსეთშია ნამყოფი; მეუღლეც, **ნათელა ნაჭყებია**, ექიმია, დაამთავრა ქ. კურსკის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობს მარტვილის სასწრაფო სამედიცინო სამსახურში ექიმად, ჰყავთ 4 შვილი – 3 ვაჟი და ერთი ქალიშვილი. თუ შვილებს სურვილი ექნებათ მშობლების პროფესიის დაუფლებისა, მამა დიდი სიამოვნებით მოუწონებს მათ ამ არჩევანს.

17 წლიანი პროფესიული საქმიანობის მიუხედავად, რადგან კარგად ფლობს რუსულ ენას, კვალიფიკაციის ასამაღლებლად წავიდოდა რუსეთსა და უკრაინაში. მისი აზრით, ჩვენს ქვეყანაში პროფესიული წინსვლა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის. ამ პრობლემის მოგვარებას შესაძლებლად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ ტრენინგების დროს მოხდება სპეციალისტების რეალური დასაქმება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად ოპერაციებზე მონაწილეობა და არა დასწრება. იხსენებს თუ როგორ უჭირდა თავდაპირველად, მაგრამ ამდენი წლის პრაქტიკულმა გამოცდილებამ ასწავლა ზედმეტი დაძაბვის გარეშე სწორი გადაწყვეტილების მიღება.

**– როგორც ჩემთვის ცნობილია, ძალიან ბევრია თქვენი მადლიერი, მაგრამ გეყოლებათ უკმაყოფილოც. რაში გამოიხატება ეს და თქვენი რეაქცია ასეთ სიტუაციაში?**

– რა თქმა უნდა, მყოლია, რაც გამოწვეული იყო ოპერაციისშემდგომი გართულებებით – სისხლდენა, ჭრილობის დაჩირქება და ა. შ. ასეთ სიტუაციაში მოთმინებით ვაკეთებ ყველა საჭირო პროცედურას გართულების სალიკვიდაციოდ. საბოლოოდ ყველაფერი კარგად მთავრდება.

**– ულევ წარმატებასა და სიხარულს გისურვებთ, ბატონო ხვიჩა!**

*– მეც ვისარგებლებ შემთხვევით და ახალ სასწავლო წელს მივულოცავ ჩემს მშობლიურ სამედიცინო უნივერსიტეტს, ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა შორის ჩემთვის ძვირფასი პედაგოგებიც არიან, სტუდენტებს – მომავალ კოლეგებს, განსაკუთრებით – პირველკურსელებს, გისურვებთ სტუდენტური წლების შინაარსიანად, შედეგიანად გატარებას, თქვენ მიერ არჩეული პროფესიის ზედმიწევნით დაუფლებას, ამის პირობები და შესაძლებლობა ნამდვილად გაქვთ, მონდომეთ და ყველაფერს მიაღწევთ.*

**ესაუბრა**
**დალი გაბეშია**

## უნივერსიადა 2012

სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ფუნქციობს სპორტისა და ხელოვნების ცენტრი, არაერთი ახალგაზრდა სწავლასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ინსტიტუტის სპორტულ ცხოვრებაში, ხელოვნების სფეროში.

ამ წერილით გვინდა პირველკურსელებს გავაცნოთ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი სპორტსმენების მიერ მოპოვებული წარმატებების შესახებ „უნივერსიადა – 2012“-ზე.



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და სპორტის საუნივერსიტეტო ფედერაციის ორგანიზებით ჩატარებულ „უნივერსიადა – 2012“-ში 40 -მდე უმაღლესი სასწავლებლის 2500 სტუდენტი მონაწილეობდა.

თბილისის სახელმწიფო სამედი-

# სპორტი – სტუდენტური ცხოვრების ნაწილი

ცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა სპორტის არაერთ სახეობაში იასპარეზეს და ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. აი ისინი: ძიუდო – **გიორგი კალაძე, მიხეილ სიმონიანი (** ოქრო, ბრინჯაო**),** თავისუფალი ჭიდაობა – **პიმენ გიორგაძე, გიორგი კაზალიკაშვილი, ირაკლი გვაძაბია** (ბრინჯაო), – ქართული სამბო – **თორნიკე კაპანაძე** (ოქრო, ბრინჯაო**),** ძალისმიერი სამჭიდი – **ზაურ წიქორიძე, ლევან ჩოჩია, დავით პეტრიაშვილი, ნიკა ხაბელაძე, სოლომონ თედიაშვილი** (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო**),** ბადმინტონი – **საჩინი ვიჯაი აკულათილაკე, თარიდუ ნაიანაგითი გუნასირი, ტრიპედერ სინგჰი, ჰინა აჯაია ბჰათი (**ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო), ტაეკვონდო – **შალვა წიკლაური** (ვერცხლი**),** მაგიდის ჩოგბურთი – **ვინსენტ პრავენ სებასტიან, დავით დავითაძე** (ვერცხლი, ბრინჯაო), სროლა – **ნინო ფანჩულიძე, გიორგი ქობულაძე** (ვერცხლი, ბრინჯაო), ჩოგბურთი – **ბიძინა ამაშუკელი, ნინო ყაჯრიშვილი, გიორგი ბერიძე** (ვერცხლი, ბრინჯაო), ფრენბურთი – **შოთა ზადიშვილი, გიორგი გიორგაძე, დავით გაგნიძე, რამაზ ზარნაძე, ბინი ჯეფერსონი, სურაჩ სინგჰი, გორაი სონი, სუნილ თომასი, ლევან ჯაფარიძე** (ვერცხლი), მძლეოსნობა – **ჰინა აჯაია ბჰათი, ნინო ლომიძე, ლაშა კაპანაძე** (ბრინჯაო), კარატე – **ღვთისო იმერლიშვილი** – (ბრინჯაო), ცურვა – **ილია მანჯგალაძე, გიგა**



**აფციაური** (ოქრო, ბრინჯაო**),** ხელბურთი – **ლაშა კაპანაძე, უჩა თავაძე, ალექსანდრე კობახიძე, გიორგი ლოლუა, გურამ დარსაველიძე, რევაზ მანჯგალაძე, უჩა ცუხიშვილი, რევაზ ვახტანგაძე** (ბრინჯაო), ქუჩის კალათბურთი – **ბიძინა კევლიშვილი, ლაშა კაპანაძე, ირაკლი გაბისონია, გიორგი კვეტენაძე, ნოდარ ბრუნჯაძე** (ბრინჯაო), კრივი – **ზურაბ ყიფშიძე, გიორგი ჯიქია** (ბრინჯაო).

ამ საამაყო გამარჯვებაში მნიშვნელოვანია სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცე-



ნტრის ხელმძღვანელობის და პედაგოგთა წვლილი. სპორტსმენებთან ინდივიდუალურმა და ჯგუფურმა მუშაობამ სასურველი შედეგები გამოიღო; ცენტრის დირექტორის, ბატონი **ზაურ ფხალაძის,** მწვრთნელების: **ზოია ცაგარელის, თამარ ბერიძის, სერგო იშხნელის, ვაჟა ელგუჯაურის, გიორგი დარჩიას** მომზადებულმა სტუდენტმა სპორტსმენებმა სასიხარულო შედეგები აჩვენეს სპორტის არაერთ სახეობაში და ასახელეს სამედიცინო უნივერსიტეტი.

მომავალი სასწავლო წელი ახალი წარმატებების მომტანი იქნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის და მასში ახალი შევსება – პირველკურსელებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ.

**მანანა ფხალაძე**

სამედიცინო გაზეთის რედაქცია: ასათიანის ქ. №7, ოთახი 600, ტ: 254-24-64; რედაქტორი – დალი გაბეშია ტ: 599 76 25 98; კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ: 555 29 98 27; დარეჯან კომლაძე ტ: 558 17 08 47; ნატო ბოლქვაძე ტ: 55 28 28 97
ელ. ფოსტა: medpressa@yahoo.com